

საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი
დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია

ანგარიში

ტომი I ტომი II ტომი III
სექტემბერი, 2009

აღნიშნული ტექსტი წარმოადგენს IIFMCG ანგარიშის I ტომის არავტორიზებულ თარგმანს, რომელიც შესრულდა „ჰაინრიხ ბიოლის ფონდის“ სამხრეთ კავკასიის რეგიონული ფონდის დაკვეთით კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციის პროგრამის ფარგლებში 2009 წელს.

შესავალი	6
2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი საქართველოში	12
ფაქტების შესწავლის შედეგები	40
მადლობის გამოხატვა	47
მისიის ძირითადი ვიზიტებისა და შეხვედრების ჩამონათვალი	51

ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე ჩამოყალიბდა საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია (სმკდფდდსმ). პირველად მისი ისტორიის მანძილზე ევროკავშირმა გადაწყვიტა აქტიურად ჩართულიყო სერიოზულ შეიარაღებულ კონფლიქტში. ასევე პირველად მოხდა ის, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების მიღწევის შემდეგ ევროკავშირმა ჩამოაყალიბა ფაქტების დამდგენი მისია, როგორც კონფლიქტის შემდგომი პერიოდის პოლიტიკური და დიპლომატიური მექანიზმი. მისიას მისი მუშაობის პროცესში დახმარებასა და კონსულტაციებს უწევდა უფროს მრჩეველთა საბჭო (იხ. მადლობის გამოხატვა). წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს მანდატირებული გამოძიების შედეგს.

მისია მადლობას უხდის ევროკავშირს იმ მტკიცე მხარდაჭერისთვის, რომელიც მან მისიას მისი მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში აღმოუჩინა.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ფაქტების დამდგენი მისია მხოლოდ ფაქტების დადგენით შემოიფარგლა და ის არ წარმოადგენს ტრიბუნალს. მისიას სჯერა, რომ სამხრეთ კავკასიაში მშვიდობა მანამ არ დამყარდება, სანამ არ მიიღწევა ურთიერთგაგება ამ ფაქტებთან დაკავშირებით.

საბჭოს 2008 წლის 2 დეკემბრის
გადაწყვეტილება 2008/901/CFSP

საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი
საერთაშორისო მისიის შესახებ

ევროკავშირის საბჭომ, 2. პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული თანხით დაფარული იქნება 2008 წლის 2 დეკემბრის შემდგომ გაწეული ხარჯები.

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების, კერძოდ კი, მისი 13(3) მუხლისა და 23(1) მუხლის გათვალისწინებით,

ვინაიდან:

- (1) 2008 წლის 01 სექტემბერს ევროპის საბჭომ განაცხადა, რომ ევროკავშირი მზად არის მხარი დაუჭიროს საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი და გრძელვადიანი მოგვარების უზრუნველყოფის ყველა მცდელობას, და რომ ის მზად არის მხარი დაუჭიროს ნდობის აღდგენის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს.
- (2) 2008 წლის 15 სექტემბერს საბჭომ მხარი დაუჭირა დამოუკიდებელი საერთაშორისო გამოძიების ჩატარების იდეას საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებით.
- (3) ქ-ნი ჰაიდი ტალიავინი უნდა დაინიშნოს ფაქტების დამდგენი ამ მისიის ხელმძღვანელად,

მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: მუხლი 4

მუხლი 1 შეფასება

ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ხელმძღვანელი და მისი უფლებამოსილების ფარგლებში

1. ქ-ნი ჰაიდი ტალიავინი დაინიშნა საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის (შემდგომში "ფაქტების დამდგენი მისია") ხელმძღვანელად 2008 წლის 2 დეკემბრიდან 2009 წლის 31 ივლისის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში.

2. ფაქტების დამდგენი მისიის მიზანია გამოიძიოს საქართველოში მომხდარი კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები და მისი მიმდინარეობა, მათ შორის საერთაშორისო სამართალთან (1), ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებებისა და ამ კონტექსტში გამოთქმული ბრალდებების (2) მიმართებაში. გამოძიების გეოგრაფიული არეალი და დროის ინტერვალი საკმარისად ვრცელი იქნება იმისათვის, რათა განისაზღვროს კონფლიქტის ყველა შესაძლო მიზეზი. გამოძიების შედეგები ანგარიშის სახით წარედგინება კონფლიქტის მხარეებს, საბჭოს, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას (ეუთო) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას (გაერო).

3. ფაქტების დამდგენი მისიის ხელმძღვანელი პასუხისმგებელი იქნება ფაქტების დამდგენი მისიის განხორციელებაზე. იგი სრულიად დამოუკიდებლად განსაზღვრავს ფაქტების დამდგენი მისიის პროცედურებს, მუშაობის მეთოდებსა და მე-2 პარაგრაფში მითითებულ ანგარიშის შინაარსს.

მუხლი 2

დაფინანსება

1. 2008 წლის 2 დეკემბრიდან 2009 წლის 31 ივლისის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში ფაქტების დამდგენი მისიის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად გამოყოფილი იქნება თანხა 1 600 000 ევროს ოდენობით.

საბჭოს სახელით
პრეზიდენტი
ქ. ლაგარდი

3. ხარჯების მართვა მოხდება იმ წესებისა და პროცედურების შესაბამისად, რომლებიც მოქმედებს ევროპის სახელმწიფოთა საერთო ბიუჯეტისათვის. ხარჯების მართვა უნდა განხორციელდეს ფაქტების დამდგენის მისიის ხელმძღვანელსა და კომისიას შორის გაფორმებული კონტრაქტის ფარგლებში.

4. ფაქტების დამდგენი მისიის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებული იქნება კომისიის წინაშე ყველა გაწეული ხარჯისათვის.

მუხლი 3

ფაქტების დამდგენი მისიის შემადგენლობა გადაწყვეტილება

ფაქტების დამდგენი მისიის შემადგენლობის შესახებ მიიღებს მისიის ხელმძღვანელი. მისიის შემადგენლობა უნდა მოიცავდეს აღიარებულ ექსპერტებს, განსაკუთრებით კი სამართალმცოდნეებს, ისტორიკოსებს, სამხედრო პირებსა და ადამიანის უფლებათა ექსპერტებს.

წინამდებარე გადაწყვეტილების განხორციელება განხილული იქნება საბჭოს მიერ 2009 წლის 31 ივლისამდე.

მუხლი 5

ძალაში შესვლა და ვადის გასვლა

წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

მისი ვადა ამოიწურება 2009 წლის 31 ივლისს.

მუხლი 6

გამოქვეყნება

წინამდებარე გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში.

შესრულებულია ბრიუსელში, 2008 წლის 2 დეკემბერს.

(1) მათ შორის: ჰელსინკის დაცვითი აქტი

(2) მათ შორის: სამხედრო დანაშაულებებში დადანაშაულების ფაქტები



წყარო: Fischer Weltatmanach, Fischer Taschenbuch Verlag, ფრანკფურტი მაინზე, 2009

შესავალი

1.) 2008 წლის 7-დან 8 აგვისტოს ღამეს, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მზარდი დამაბულობისა და ინციდენტების შემდეგ, მძიმე ბრძოლები დაიწყო სამხრეთ ოსეთის ქალაქ ცხინვალში და მის შემოგარენში. ბრძოლები, რომელიც მალე საქართველოს სხვა კუთხეებსაც მოედო, 5 დღის განმავლობაში გრძელდებოდა. მან მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ადგილას დიდი ნგრევა და მთელი რიგი ქალაქებისა და სოფლების სრული განადგურება გამოიწვია. დაიღუპა საკმაოდ ბევრი ადამიანი. საბოლოო ჯამში, საქართველოს მხარემ განაცხადა 170 სამხედრო მოსამსახურის, 14 პოლიციელის და 228 სამოქალაქო პირის დაღუპვისა და 1 747 პირის დაჭრის თაობაზე. რუსეთის მხარემ განაცხადა 67 სამხედრო მოსამსახურისა და 283 დაჭრილის თაობაზე, ხოლო სამხრეთ ოსეთმა - 365 პირის დაღუპვის შესახებ, რაც სავარაუდოდ როგორც სამხედრო მოსამსახურეებს, ასევე სამოქალაქო პირებსაც მოიცავდა. მთლიანობაში დაიღუპა 850 ადამიანი, რომ არაფერი ვთქვათ დაჭრილებზე, დაკარგულებზე, ან იმ 100 000-ზე მეტ სამოქალაქო პირზე, რომლებმაც თავიანთი საცხოვრებელი მიატოვეს. დაახლოებით 35 000 მათგანმა ჯერ კიდევ ვერ შეძლო საკუთარ სახლებში დაბრუნება. ომით ვერც პოლიტიკური კონფლიქტი დასრულდა და ვერც ის საკითხები გადაიჭრა, რომლებიც მის მიზეზს წარმოადგენდა. დამაბულობა კვლავაც გრძელდება. პოლიტიკური ვითარება ომის დასრულების შემდეგ არ განმუხტულა და გარკვეული თვალსაზრისით გაართულდა კიდევ.

2.) ხანგრძლივი გაურკვევლობისა და სიტუაციის არასტაბილურობის გათვალისწინებით, სამი კვირის შემდეგ, 2008 წლის 1 სექტემბერს ევროკავშირის საბჭომ მზადყოფნა გამოთქვა მხარი დაეჭირა ყველა მცდელობისათვის, რომელიც მიმართული იქნებოდა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის მშვიდობიანი და გრძელვადიანი გადაწყვეტის უზრუნველყოფისკენ. მან ასევე გამოხატა მზადყოფნა მხარი დაეჭირა ნდობის აღდგენის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებისთვის. ამის შემდგომ, 2008 წლის 2 დეკემბერს ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის (სმკდფდდსმ) ჩამოყალიბების თაობაზე, რომლის უფლებამოსილების სფეროც იქნებოდა:

“საქართველოში კონფლიქტის გამომწვევი მიზეზებისა და მიმდინარეობის გამოძიება, მათ შორის, საერთაშორისო სამართალთან (სქოლიო: მათ შორის, ჰელსინკის დასკვნით აქტთან), ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებებისა და ამ კონტექსტში გამოთქმული ბრალდებების (სქოლიო: მათ შორის, სამხედრო დანაშაულებებში დადანაშაულების ფაქტებთან) მიმართებაში.”

გარდა ამისა, მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ გამოძიების გეოგრაფიული არეალი და დროის მონაკვეთი საკმარისად ვრცელი უნდა ყოფილიყო კონფლიქტის ყველა შესაძლო მიზეზის დასადგენად. ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 2008 წლის 2 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების სრული ტექსტი შეტანილია წინამდებარე ანგარიშში (გვ. 4.)

3.) სმკდფდდსმ არის პირველი ამგვარი ტიპის ფაქტების დამდგენი მისია ევროკავშირის ისტორიაში. ფაქტების დამდგენი კომისია მუშაობას შეუდგა ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 2008 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილების მიღებისთანავე. მისი ძირითადი ჯგუფი შედგებოდა სამი წევრისგან შვეიცარიელი ელჩის ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით, რომელიც სმკდფდდსმ-ს ხელმძღვანელად ევროკავშირის მინისტრების მიერ დაინიშნა და მათ მიერ მიენიჭა სრული უფლებამოსილება, თავად განესაზღვრა მისიის პროცედურები და მუშაოების მეთოდები, ისევე როგორც მიეღო გადაწყვეტილებები კადრების შერჩევასთან დაკავშირებით. მანდატში ასევე აღნიშნული იყო, რომ ფაქტების დამდგენი მისიის ხელმძღვანელს სრულიად დამოუკიდებლად უნდა განესაზღვრა ანგარიშის შინაარსი. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მხრიდან არ ყოფილა ამ დამოუკიდებელ მანდატში რაიმე სახის ჩარევის მცდელობა. ძირითადი ჯგუფი დაფუძნდა ჟენევაში, სადაც ჟენევის უსაფრთხოების პოლიტიკის ცენტრმა სულგრძელად გამოუყო მას სამუშაო ფართი, ხოლო ბელგიის მთავრობამ ასევე უზრუნველყო მისიისათვის საოფისე ფართი ბრიუსელში. მისიის კიდევ ერთი ოფისი თბილისში გაიხსნა.

4.) რამდენიმე დამხმარე თანამშრომლის დაქირავების შემდეგ, მისიამ კონტრაქტის საფუძველზე დაიქირავა 20-მდე ექსპერტი, რომელთაც უნდა მოემზადებინათ წერილობითი მასალები იმ სამხედრო, სამართლებრივ, ჰუმანიტარულ და ისტორიულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მანდატის ფარგლებში. გარდა ამისა, შეიქმნა უფროს მრჩეველთა საბჭო, რომელსაც დაევალა მისიის მუშაოების შემოწმება და მისთვის რჩევებისა და რეკომენდაციების მიცემა. მის შემადგენლობაში შევიდნენ საერთაშორისო ურთიერთობების, კერძოდ კი, კონფლიქტის მართვის სფეროში საყოველთაოდ აღიარებული ცოდნისა და კომპეტენციის მქონე პირები. მისიას წილად ხვდა პატივი ამ საბჭოში ემასპინძლა საგარეო საქმეთა და თავდაცვის ოთხი ყოფილი მინისტრისათვის, გარდა ამისა, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ყოფილი დიდი ხნის პრეზიდენტისათვის და ასევე დიდი გამოცდილების მქონე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ყოფილი მოადგილისა და სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელისათვის. როგორც ეს უფრო დეტალურად იქნება აღწერილი თანდართულ ოფიციალურ სამადლობელო მიმართვაში, მისია უდიდეს მადლიერებას გამოხატავს იმ რჩევებისა და მხარდაჭერისათვის, რომლებიც მან როგორც უფროსი

მრჩევლებისგან, ასევე ექსპერტებისგან (სრული სიისათვის იხ. თანდართული მადლობის გამოხატვა) მიიღო.

5.) მისიის მანდატის თანახმად, გამოძიების შედეგები ანგარიშის სახით წარედგინება ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს, ასევე 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტში ჩართულ მხარეებს, ეუთო-სა და გაერო-ს. წინამდებარე ანგარიშის მიზნებიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ ანგარიშზე მუშაობა დაწყებულიყო უშუალოდ დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებზე დაყრდნობით, კითხვარები, რომლებიც მოვლენების სამხედრო, სამართლებრივ, ჰუმანიტარულ და პოლიტიკურ ასპექტებს ეხებოდა, გაიგზავნა მოსკოვში, თბილისში, სოხუმსა და ცხინვალში. გარდა ამისა, მხარეებს ეთხოვათ წარმოედგინათ თავიანთი ყოვლისმომცველი მოსაზრებები და მოვლენათა შეფასებები. მართალია, ყველა შეკითხვას პასუხი არ გაეცა, მაგრამ სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში, მხარეთა პასუხები იყო არსებითი მნიშვნელობის და მათ გაამართლეს მისიის მოლოდინი. ყველა წერილობითი პასუხი და სხვა სახის მასალა, კერძოდ, ოფიციალური დოკუმენტები, რუკები და ზოგადი ცნობები, რომლებიც მოწოდებული იყო კონფლიქტში მონაწილე სხვადასხვა მხარის მიერ, სრულად და უცვლელად ერთვის წინამდებარე ანგარიშს. ცხადია, მხარეების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გარდა, უამრავი ინფორმაცია არსებობდა ღია წყაროებიდან, მათ შორის წიგნებიდან, სტატიებიდან, კვლევებიდან და სხვა დოკუმენტებიდან, ასევე ვიდეო და ფოტო მასალებიდან, რომლებიც დამატებით საფუძვლად დაედო ანგარიშს. ყოველივე ზემოაღნიშნული დაკვირვებით იქნა შესწავლილი, შემოწმებული და გადამოწმებული საჭიროებისდა მიხედვით და შესაძლებლობის ფარგლებში.

6.) გარდა ამისა, მისიის ძირითადი წევრები და ექსპერტები რამდენიმეჯერ ჩავიდნენ თბილისში, მოსკოვში, ცხინვალსა და სოხუმში, ასევე იმ ადგილებში, სადაც მიმდინარეობდა ბრძოლები და/ან, რომლებიც წარმოადგენდა განსაკუთრებულ ინტერესს ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. გარდა ამისა, მონახულებული იყო ისეთი მნიშვნელოვანი ადგილები, როგორცაა როკის გვირაბი, ახალგორის რაიონი და კოდორის ხეობა. სავლელ ვიზიტები განხორციელდა პირდაპირი საუბრებისათვის იმ ადამიანებთან, რომლებიც ამ ტრაგიკული მოვლენების უშუალო თვითმხილველები გახდნენ. მისიის წარმომადგენლებმა გამართეს ათობით მოლაპარაკება და საუბარი მთავრობის წარმომადგენლებსა და დიპლომატებთან, პოლიტიკურ და ასევე სამხედრო ხელმძღვანელობასთან, თვითმხილველებთან და დაზარალებულებთან, მკვლევარებთან, დამოუკიდებელ ექსპერტებსა და სხვა სპეციალისტებთან, რომლებიც კავკასიის რეგიონს და 2008 წლის ზაფხულის მოვლენებს იცნობენ. მოხდა დაკავშირება ევროკავშირის ყველა მთავრობასთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთან,

უკრაინასთან, მეზობელ ქვეყნებთან, ნატო-სთან, ეუთო-სთან, ევროსაბჭოსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (წჯსკ), რომელთაც ეთხოვათ წარმოედგინათ საქმესთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებული ნებისმიერი მასალა. ასევე, ინფორმაციის მოწოდების თხოვნით მიმართვა გაეგზავნათ გაეროს შტაბ-ბინას ნიუ-იორკში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობასა და ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს კომისარიატს. დეტალური განხილვები გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების წამომადგენლებთან ვაშინგტონში და უკრაინის წამომადგენლებთან – ბრიუსელში. გარდა ამისა, შედგა ვიზიტები ნატოს, ეუთოს, ევროსაბჭოსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის შტაბ-ბინებში.

7.) კონფლიქტში მონაწილე მხარეთა მოსაზრებები დასაწყისშივე ძალიან წინააღმდეგობრივი იყო და დროთა განმავლობაში კიდევ უფრო წინააღმდეგობრივი ხდება. ამგვარად, სიმართლის დადგენა და გადამოწმება სულ უფრო და უფრო რთულდება. მიუხედავად ამისა, ის მოვლენები, რომლებმაც კონფლიქტამდე მიგვიყვანა ისტორიულ ფაქტებს წარმოადგენს და წინამდებარე ანგარიში შეეცდება, ახსნას ისინი რუსეთს, საქართველოსა და მის სეპარატისტულ რეგიონს, სამხრეთ ოსეთს შორის რთულ ურთიერთობებზე ყურადღების გამახვილებით. აფხაზეთში არსებულმა კონფლიქტმა ნაკლები, მაგრამ მაინც არსებითი როლი შეასრულა 2008 წლის აგვისტოს წინა პერიოდის მოვლენებში. მისასაღმებელია, რომ მთელმა რიგმა პატივსაცემმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ინსტიტუტებმა, მათ შორის ევროსაბჭომ, ბრიტანეთის ლორდთა პალატამ, აშშ კონგრესმა, საქართველოსა და უკრაინის პარლამენტებმა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წამომადგენლობამ, წითელის ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა, “ჰიუმან რაიტს ვოჩ“-მა (HRW), საერთაშორისო კრიზისის ჯგუფმა (ICG), "საერთაშორისო ამნისტიამ" (ai) და სხვებმა უკვე გამოიძიეს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის საფუძვლები და გამომწვევი მიზეზები. მისია აღიარებს ამ მცდელობებს და ბევრ შემთხვევაში მან შესძლო გამოეყენებინა მათი ავტორების ცოდნა და გამოცდილება. ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეულმა პირებმა თუ ინსტიტუტებმა ხელმისაწვდომი გახადა მნიშვნელოვანი ინფორმაცია და მასალები მისიისათვის მათი საკუთარი ინიციატივით. შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ მისიას მართლაც მოულოდნელი და კეთილგანწყობილი თანამშრომლობა გაუწია კონფლიქტის უშუალო მონაწილე ყველა მხარემ, და ბევრ შემთხვევაში სხვა გარეშე მონაწილეებმაც.

8.) ფაქტების დამდგენ მისიას სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ მის მიერ სახელების, ტერმინებისა და გამონათქვამების გამოყენება, განსაკუთრებით კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში, არ უნდა იქნეს აღქმული მისიის მხრიდან რაიმე ფორმით მათ აღიარებად ან არაღიარებად, ან რომ მათ აქვთ რაიმე სახის სხვა პოლიტიკური ქვეტექსტი. განსაკუთრებული სიფრთხილე არის საჭირო ასევე საერთაშორისო

ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებების დარღვევებთან, ისევე როგორც სამხედრო დანაშაულებებსა და გენოციდთან დაკავშირებული ბრალდებების თვალსაზრისით. ევროპის საბჭომ მისიას ამ ბრალდებების გამოძიება დაავალა. აღსანიშნავია, რომ მისიამ მუშაობა მხოლოდ 2008 წლის ბოლოს დაიწყო. შესაბამისად, საჭირო გახდა, რომ ფაქტების დადგენა დაფუძნებოდა იმ გამოძიებებს, რომლებიც ჩატარდა მალევე კონფლიქტის დასრულების შემდეგ ისეთი საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მიერ, როგორებიცაა ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატი (ეუთო), ევროსაბჭო და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, ასევე, კარგად ცნობილი და პატივსაცემი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, როგორებიცაა "საერთაშორისო ამნისტია", "ჰიუმან რაიტს ვოჩი", "საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი" და სხვები. მისიას ასევე ჰქონდა რამდენიმე შეხვედრა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებთან. გარდა ამისა, მისიამ მოახერხა, შეეგროვებინა უშუალო მტკიცებულებები თვითმხილველებისგან და დაზარალებულებისგან, ასევე, პირადი დაკვირვებებისა და ადგილზე მოპოვებული დოკუმენტების საშუალებით. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი გზით შექმნილი ფაქტობრივი საფუძველი შეიძლება მიჩნეულ იქნას სათანადოდ ფაქტების დასადგენად, მაგრამ არა რაიმე სხვა მიზნისათვის, მათ შორის, სასამართლო პროცესებისათვის იმ საქმეებზე, რომლებიც განიხილება საერთაშორისო სასამართლოებში, ან რაიმე სხვა მიზნებისათვის.

9.) გაწეული დიდი სამუშაოს მიუხედავად, წინამდებარე ანგარიშს არა აქვს აბსოლუტური ჭეშმატირებისა და სრულყოფილების პრეტენზია. ის მოიცავს ყველაფერს, რაც მისიისთვის მუშაობის პროცესში გახდა ხელმისაწვდომი. შესაძლებელია, რომ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს მოგვიანებით, ვინაიდან მისი მნიშვნელობა ამ ეტაპზე შესაძლებელია ჯეროვნად არ შეფასდა, ან იმის გამო, რომ ის შემთხვევით ან შეგნებულადაც კი იქნა დაფარული წყაროების მიერ. ამგვარი რამ გამორიცხული არ არის, თუმცა მისიის წევრების ხელთ არსებული ინფორმაციით, ამჯერად არ არსებობს რაიმე ამგვარი მინიშნება კონკრეტულ დეტალებთან თუ კომპონენტებთან მიმართებაში. შესაძლებელია, რომ სხვა კომპონენტები თეორიულად მაინც იყო ფალსიფიცირებული ან არასწორად გაგებული. კონფლიქტის მხარეებს შორის იყო ღია დაპირისპირების შემთხვევები მნიშვნელოვანი დოკუმენტების შეფასებისას. მისიისათვის არ იყო ხელმისაწვდომი დაზვერვის ანგარიშები ან სატელიტური ფოტომასალა დაზვერვის წყაროებისგან. მისიის მოსაზრებები ასევე შეზღუდული უნდა ყოფილიყო დროისა და სივრცის თვალსაზრისით. მაშინ, როდესაც ათვლის წერტილის არჩევის თვალსაზრისით შეზღუდვა არ არსებობდა, იმის გათვალისწინებით, რომ მსჯელობები 2008 წლის 7 აგვისტოს მოახლოებასთან ერთად უფრო დეტალური გახდა, განხილვის პერიოდის დასასრულად ზოგადად განისაზღვრა 2008 წლის 8 სექტემბერი, როდესაც

პრეზიდენტებს სარკოზის, მედვედევსა და სააკაშვილს შორის მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ რიგით მეორე შეთანხმებით ნათელი გახდა, რომ მოვლენების განვითარება არა სამხედრო, არამედ კვლავ პოლიტიკისა და დიპლომატიის სფეროში ინაცვლებდა. მისი გეოგრაფიული საზღვრების თვალსაზრისით, ანგარიში რეგიონულ და არარეგიონულ მოთამაშეებს მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს, თუკი ისინი ჩართულები იყვნენ კონფლიქტში პოლიტიკური ან სამხედრო კუთხით მოვლენების დროს თუ ამ მოვლენებამდე.

10.) თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მისია ყოველმხრივ შეეცადა მოეგროვებინა, გამოეკვლია და სათანადო პასუხისმგებლობით გაეთვალისწინებინა საქმესთან დაკავშირებული ცალკეული ცნობები წინამდებარე ანგარიშის მიზნებიდან გამომდინარე. ეს უდიდესი სიფრთხილით გაკეთდა და, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს იმის სრული გარანტია, რომ არ იქნა დაშვებული შეცდომები ან ადგილი არ ჰქონდა ხარვეზებს, ყველა მცდელობა იქნა გამოყენებული იმისათვის, რომ მათი რაოდენობა შეძლებისდაგვარად უმნიშვნელო ყოფილიყო. გარდა ამისა, მისია ღრმად არის დარწმუნებული წინამდებარე ანგარიშზე მუშაობისას გამოყენებული მთავარი პრინციპების - პატიოსნების, პირუთვნელობისა და მიუკერძოებლობის – სისწორეში. ამგვარად, წინამდებარე ანგარიშის მიზანს არ წარმოადგენს ღია ჭრილობების გაღიზიანება ან ემოციების აღძვრა. პირიქით, მისი დაწერის დროისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე მოვლენათა თანმიმდევრობის წარმოდგენით, ამ მოვლენებზე პასუხისმგებლობის განხილვით, ანგარიში შექმნის მტკიცე საფუძველს, რათა, მოხდეს რეალურად არსებული სიტუაციის ზომიერი შეფასება. ეს არის ამოსავალი წერტილი ყველა სერიოზული და საპასუხისმგებლო პოლიტიკისათვის, და ამ თვალსაზრისით, ანგარიში თავის წვლილს შეიტანს სტაბილურ და მშვიდობიან გარემოს დამკვიდრებაში, რომელიც ასე სჭირდება სამხრეთ კავკასიას, როგორც ამ რეგიონში არსებული ყველა ქვეყნისა და ერის განვითარების წინაპირობა. მისია იმედოვნებს, რომ კონფლიქტის ყველა მხარისათვის გასაგები და მისაღები იქნება ეს პრინციპები, ზოგიერთი მათი ქმედების კრიტიკულად განხილვის გათვალისწინებითაც კი. ანგარიში მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს შექმნას უკეთესი პერსპექტივები საქართველოში მომხდარი კონფლიქტის გრძელვადიანი, მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის, ევროპის საბჭოს მხრიდან 2008 წლის 1 სექტემბერს გამოთქმული მზადყოფნის შესაბამისად.

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი საქართველოში

1.) შეიარაღებული დაპირისპირების შედეგი ყოველთვის არის ადამიანური ტრაგედია. ბრძოლების დასრულების შემდეგ, ბევრია მკვლევლობებისა და სხვა დანაკარგების, დიდი ტანჯვის, ოცნებებისა და იმედების ხშირ შემთხვევაში სამუდამო მსხვერვის სამწუხარო ფაქტები. ჩვენ არ ვიცით უფრო ეფექტური საშუალება საქართველოში მომხდარი 2008 წლის კონფლიქტის მიზეზების გააზრებისა, ვიდრე იმის გათვითცნობიერება, რამაც კონფლიქტში მონაწილე და კონფლიქტისგან დაზარალებული ადამიანების გონებაში გაიარა. ჩვენ გავიგებთ, რომ კონფლიქტში მონაწილე ყოველ მხარეს გააჩნდა საკუთარი წყენები, რომ მათი ქმედებები მომდინარეობდა მათი გამოცდილებიდან და მეხსიერებიდან, და, რომ იმ ადამიანების უმრავლესობა, რომლებიც კონფლიქტში მონაწილეობდნენ, დარწმუნებულები იყვნენ, რომ ამგვარად უნდა მოქცეულიყვნენ. ადამიანთა ქმედებების მოტივების გააზრებით, გავიგებთ მათ მისწრაფებებს, მაშინაც კი, როდესაც ჩვენთვის მიუღებელია მათი განხორციელების გზები. ადამიანების გაგება მიგვიყვანს ფაქტებამდე. წინამდებარე ანგარიში შეეცდება, წარმოადგინოს სამართლიანი და მიუკერძოებელი აზრი იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც კონფლიქტის მხარეებმა განახორციელეს, ასევე მათი მიზეზები და შედეგები. ბევრი მათგანი გაკრიტიკებული იქნება. თუმცა, არაფერი შეეხება არც პიროვნების ბედისწერის და არც ამ რეგიონში მცხოვრები დიდი თუ მცირე ხალხების მისწრაფებების მიმართ ჩვენს პატივისცემას. ეს მისწრაფებები სამხედრო ქმედებების ძირითადი გამომწვევი მიზეზები არ იყო, ვინაიდან არსებობს მსგავსი პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრის შემთხვევები სხვა ადგილებში. შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მიგვიყვანა იმ გზამ, რომლითაც ხდებოდა ამ პრობლემების გადაჭრა და ზოგჯერ მათი საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენება. აღნიშნული პატივისცემისა და გაგების გათვალისწინებით, წინამდებარე ანგარიშის მიზანს წარმოადგენს მომხდარი მოვლენების აღწერა, რათა გაკეთდეს დასკვნები უფრო უსაფრთხო მომავლისათვის რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ.

2.) 2008 წლის 7–დან 8 აგვისტოს ღამეს ქართულმა არტილერიამ ქალაქ ცხინვალზე განუწყვეტელი საარტილერიო შეტევა მიიტანა. ხდებოდა ქართული შეიარაღებული ძალების სხვა გადაადგილებებიც ცხინვალისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების მიმართულებით. მალე ბრძოლაში რუსეთის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სამხედრო ნაწილები და შეიარაღებული ქვედანაყოფები ჩაერთნენ. თუმცა, საქართველოს იერიში სამხრეთ ოსეთის მიმართულებით მალევე შეჩერდა. კონტრ- შეტევის შედეგად, რომელიც საჰაერო დარტყმებითა და შავის ზღვის ფლოტის ქვედანაყოფების მონაწილეობით განხორციელდა, რუსეთის შეიარაღებული ძალები ღრმად შეიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე, გადაკეტეს ქვეყნის ძირითადი აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალი, მიაღწიეს ფოთის პორტამდე და

თბილისის, საქართველოს დედაქალაქის მახლობლად გაჩერდნენ. დაპირისპირება სახელმწიფოთაშორის და ქვეყნისშიდა კომბინირებულ კონფლიქტში გადაიზარდა, ერთი მხრივ, საქართველოსა და რუსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის დაპირისპირებაში, ხოლო მეორე მხრივ, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მეომრებსა და ქართულ შეიარაღებულ ძალებს შორის. სხვადასხვა დონეებზე მიმდინარე კონფლიქტების ამგვარი კომბინაციის დროს დიდია ჰუმანიტარულ და ადამიანის უფლებების სფეროში საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის ალბათობა. ამჯერადაც ასე მოხდა. ბევრი ამგვარი ფაქტი განაპირობა სამხრეთ ოსეთის მხარის არარეგულარული შეიარაღებული დაჯგუფებების მოქმედებებმა, რომლებიც არ და ვერ იქნებოდა სათანადოდ კონტროლირებული რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალების მიერ. შემდეგ გაიხსნა სამხედრო მოქმედებების მეორე არენა დასავლეთ ფლანგზე, სადაც აფხაზეთის ძალებმა რუსეთის შეიარაღებული ძალების მხარდაჭერითა და ქართველების მხრიდან უმნიშვნელო წინააღმდეგობის პირობებში ზემო კოდორის ხეობა დაიკავეს. ხუთდღიანი ბრძოლის შემდეგ, 2008 წლის 12 აგვისტოს მიღწეული იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის შორის. ეს უკანასკნელი ევროკავშირის სახელით მოქმედებდა. ამას კვლავ საფრანგეთის პრეზიდენტის დაჟინებული მცდელობების შედეგად მოჰყვა 2008 წლის 8 სექტემბრის შეთანხმება განხორციელების შესახებ. ეს წარმატებული პოლიტიკური ქმედება მკვეთრად გამოირჩეოდა საერთაშორისო თანამეგობრობის, მათ შორის კი გაეროს უშიშროების საბჭოს უუნარობისგან, ემოქმედა სწრაფად და გაბედულად მზარდი დამაბულობის გასაკონტროლებლად შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე. თუმცა, ამის შემდეგ, თუ არ ჩავთვლით ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (ეკსმ) შექმნასა და ჟენევის მოლაპარაკებებს, არ მომხდარა წინსვლა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამკვიდრების რთულ პროცესში. სიტუაცია რჩება დამაბული და ცვალებადი, და ბევრი შიშობს, რომ შესაძლებელია სამხედრო მოქმედებები განახლდეს.

3.) ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის საარტილერიო დაბომბვით 2008 წლის 7-დან 8 აგვისტოს ღამეს დაიწყო ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოში. თუმცა, ეს იყო დიდი ხნის განმავლობაში მზარდი დამაბულობების, პროვოკაციებისა და ინციდენტების კულმინაცია. მართლაც, კონფლიქტს გააჩნია ღრმა ფესვები რეგიონის ისტორიაში, ერების ნაციონალურ ტრადიციებსა და მისწრაფებებში, ასევე, ერთმანეთის აღქმაში ან, უფრო სწორედ, არასწორ აღქმაში, რაც არასდროს ყოფილა გამოსწორებული და მხოლოდ ხანდახან იყო გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონს გააჩნდა სხვადასხვა ერებისა და სარწმუნოებების მშვიდობიანი თანაცხოვრების დიდი ხნის ტრადიცია, მის პატარა ერებს ჰქონდათ იმის ქვეცნობიერი შეგრძნება, რომ მათი უფლებები შევიწროებული, ხოლო მდგომარეობა

ჩამოქვეითებული იყო. საბჭოთა ფედერალიზმმა ვერ მოახერხა ფარული ანტაგონიზმის დაძლევა და ქაოსურმა პერიოდმა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა, კიდევ უფრო გაამძაფრა ორმხრივი უნდობლობისა და მტრობის ფაქტორი რეგიონში. ახლადდამკვიდრებული თვითშეგნების ტალღა, რომელიც მოჰყვა საქართველოში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებს 2003 წლის ბოლოდან მოყოლებული, გადაიკვეთა თვითდაჯერებულობის მეორე ტალღასთან, რომელიც რუსეთის ფედერაციიდან მომდინარეობდა, და რომელიც ცდილობდა მის “ახლო საზღვარგარეთში” დაემკვიდრებინა ინტერესების პრივილეგირებული ზონა, სადაც მოვლენები, რომლებიც რუსეთის ინტერესებისთვის საზიანოდ მიიჩნეოდა, არ იყო ადვილად მიღებული. ამავდროულად, სამშვიდობო ოპერაციებს, რომლებიც საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით დაინერგა, მნიშვნელოვნად გაუსწრო პოლიტიკური და სამხედრო კუთხით განვითარებულმა ახალმა და უფრო სახიფათო მოვლენებმა. ეს სამშვიდობო მისიები 1990-იან წლებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტებისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეიქმნა და იმ დროიდან მოყოლებული მეტ-ნაკლებად უცვლელი დარჩა. პრობლემების დარეგულირებისა და პოლიტიკური მხარდაჭერის არარსებობის გამო, რომლებიც საჭირო იყო რეგიონში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, მათ საბოლოოდ დაკარგეს თავიანთი ფუნქცია და ვეღარ შეძლეს დასახული ამოცანების შესრულების უზრუნველყოფა.

4.) ადამიანური ასპექტის გარდა, რა თქმა უნდა არსებობს 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკური საფუძველიც. ქართველები ძალიან დიდი ხნის ისტორიის მქონე ქრისტიანული ერია, რომელიც რუსეთთან შედარებით უფრო ძველ ერად მიიჩნევა თავს. ქართული სახელმწიფოებრიობა ისტორიულ დასაბამს იღებს მე-4 საუკუნეში ქართული ავტოკეფალური ეკლესიის დაარსებითა და მე-5 საუკუნეში ქართული ანბანის შექმნით. გადამწყვეტი ისტორიული დაპირისპირება ორ ერს შორის მოხდა რუსეთის იმპერატორის, ეკატერინე II-ის მეფობის დროს, როდესაც 1783 წელს ქალაქ გეორგიევსკში ხელი მოეწერა ტრაქტატი რუსეთსა და მეფე ერეკლე II-ს შორის, რომელიც აკონტროლებდა ამჟამინდელ აღმოსავლეთ საქართველოს, რასაც უნდა უზრუნველყო სპარსეთის თავდასხმებზე რუსეთის მხრიდან დაცვა. ამ გარემოებამ ნიადაგი მოამზადა რუსეთის შემდგომი ბატონობის დასამყარებლად, როგორც სიღრმისეული, ასევე სივრცითი თვალსაზრისით, რასაც საბოლოოდ შედეგად მოჰყვა საქართველოს სრული ინტეგრაცია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 1881 წლიდან

1917 წლამდე პერიოდში. მთლიანობაში, ეს პერიოდი დაემთხვა ქართველების ეროვნულ გამოღვიძლებას პატრიოტულად განწყობილი ქართული ინტელიგენციის მიერ, რომელიც ხშირად კრიტიკულად იყო განწყობილი რუსეთის ბატონობისა და რუსიფიკაციის მიმართ. თუმცა, რუსების აზრით, საქართველომ მიიღო მისთვის ძალზე

საჭირო დაცვა მეზობლების მხრიდან განხორციელებული გამანადგურებელი თავდასხმებისაგან. თანამედროვე სისტემების დანერგვა, გზების მშენებლობიდან დაწყებული ეფექტური განათლების სისტემით დამთავრებული, იყო კიდევ ერთი მიღწევა, რომელიც რუსეთმა საქართველოში დანერგა. იმის პარალელურად, რომ რუსეთი აღიქმებოდა ქართული ისტორიული ქრონიკების ნაწილის მიერ, როგორც ქართველი ერისათვის საფრთხის შემცველი, და მაშინ, როდესაც მართლაც იყო რუსეთის მხრიდან იმის მცდელობები, რომ დაკნინებულიყო ქართული კულტურული მემკვიდრეობა, მიუხედავად ამისა, ქართველები გარკვეულწილად პრივილეგირებულ ერადაც კი მიიჩნეოდნენ რუსეთის იმპერიაში. და ბოლოს, საქართველოში ბევრი იყო განწყობილი ანტიპატიურად რუსეთის იმპერიული ძალაუფლების, მისი მოუქნელობისა და ჩამორჩენილობის მიმართ, მაგრამ ამავდროულად, ისინი მოხიბლულები იყვნენ თანამედროვე ცივილიზაციითა და ევროპული მსოფლმხედველობით, რომლებთან ზიარებაც რუსეთის მეშვეობით ხდებოდა.

5.) დღევანდელი საქართველო ითვლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამწლიან არსებობას 1918-1921 წლებში, რაც სწრაფად და ულმობლად მოისპო ბოლშევიკური ძალების მიერ. დამოუკიდებლობის ეს წლები მნიშვნელოვანი ათვლის წერტილი იყო ეროვნული თავისუფლებისა და თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მისი საბოლოო გამონთავისუფლება, რაც დაფიქსირდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოქვეყნებით 1991 წლის 9 აპრილს. ორივე შემთხვევაში, საქართველო დამოუკიდებელი გახდა მისი ძლევამოსილი ჩრდილოელი მეზობლის მძიმე კრიზისისა და დაცემის პირობებში. 1991 წლის დამოუკიდებლობას წინ უძღვოდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენები, როდესაც საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა ქართველი დემონსტრანტები დახოცეს. დამოუკიდებლობა აღდგა სტალინის ეპოქით ცნობილი ათეულობით წლების შეიარაღებული ბრძოლის, წნეხისა და მასობრივი ტერორის შემდეგ. მართლაც, თითქმის არაფერი იყო, რაც ახლად დამოუკიდებელ საქართველოს წააქეზებდა, კვლავ დაბრუნებოდა რუსეთის სტანდარტებსა და საბჭოთა წლებს. ამის გამო პოლიტიკურმა კლასმა და ასევე საზოგადოებრივმა აზრმა საქართველოში აიღო მკვეთრად გამოხატული პრო-დასავლური ორიენტაცია. თუმცა, საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი იყო ერთი მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა: საქართველო დაყოფილი იყო სამ პოლიტიკურ-ტერიტორიულ ერთეულად, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკად და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქად. რა თქმა უნდა, არსებობდა მთლიანი საქართველო მის დედაქალაქ თბილისთან ერთად, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, რომელიც ყოფილ “საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას” ემთხვეოდა 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. პოსტ-საბჭოთა სუვერენულ სახელმწიფოდ გარდაქმნის პერიოდში ზვიად გამსახურდიამ, ქვეყნის

პირველმა პრეზიდენტმა, ბევრი გააკეთა ნაციონალიზმის კუთხით, რათა მოეხდინა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ორი პატარა პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეულის გამოცალკევება საქართველოს დამოუკიდებლობის პროექტიდან, წამოაყენა რა ეთნოცენტრისტული ლოზუნგი – “საქართველო ქართველებისათვის”. ყველა მხრიდან წამოსულმა ნაციონალიზმმა და, ზოგ შემთხვევებში შოვინიზმმაც კი საექვო პოლიტიკურ ქმედებებთან ერთად კიდევ უფრო მეტი დამაბულობა გამოიწვია. საბოლოოდ ბრძოლა, რომელიც საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და სეპარატისტულ ძალებს შორის დაიწყო თავდაპირველად სამხრეთ ოსეთში 1991-1992 წლებში და შემდეგ აფხაზეთში 1992-1994 წლებში, საქართველოს მიერ ორივე ტერიტორიის დიდ ნაწილზე კონტროლის დაკარგვით დასრულდა. ამბოხებულებს მხარს უჭერდა რუსეთი, თუმცა ჩანს, რომ რუსეთის პოლიტიკურ ელიტასა და ძალაუფლების სათავეში მდგომ პირებს შორის იყო აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხთან დაკავშირებით და ისინი მხოლოდ ნაწილობრივად იყვნენ ჩართულები ამ პროცესში. ამავე დროს, მოსკოვი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა თბილისთან.

6.) აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ კონფლიქტებში ქვეყნის მიერ განხორციელებული წარუმატებელი სამხედრო ოპერაციების შემდეგ, საქართველოს შიდა არეულობის პირობებში, ზვიად გამსახურდიას მემკვიდრე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იძულებული გახდა, დახმარების თხოვნით მიემართა მოსკოვისათვის 1993 წლის ოქტომბერში, რათა ჩაეხშო ამბოხი, რომელიც ამჯერად გამსახურდიას მხარდამჭერებმა დასავლეთ საქართველოს რეგიონში, სამეგრელოში წამოიწყეს. რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა დახმარების თხოვნა დააკმაყოფილეს. საბოლოოდ, ამან გამოიწვია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის შეცვლა პრო- რუსული მიმართულებით. 1993 წლის ოქტომბერში ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერა საქართველოს გაერთიანებას რუსეთის მიერ მართულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ), ხოლო მომდევნო წელს თბილისი შეუერთდა ასევე რუსეთის მიერ მართულ, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას (კუხ). რუსეთის ოთხმა სამხედრო ბაზამ გააგრძელა თავისი არსებობა საქართველოს მიწაზე და რუსეთის სასაზღვრო ჯარები კვლავაც დარჩნენ განლაგებულნი საქართველო- თურქეთის საზღვარზე და პატრულირებდნენ ზღვის სანაპიროს. გარდა ამისა, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა თავის თავზე აიღეს სამშვიდობო ფუნქცია როგორც სამხრეთ ოსეთში, ასევე მოგვიანებით აფხაზეთშიც. 1992 წლის ივნისში სოჭში ორი ქვეყნის მეთაურს – ედუარდ შევარდნაძესა და ბორის ელცინს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა ერთობლივი სამშვიდობო ძალები (ესძ) სამხრეთ ოსეთისათვის, რომელშიც შედიოდა რუსეთის, საქართველოსა და ოსეთის მხრიდან, თითოეულიდან ხუთასამდე სამხედრო მოსამსახურით დაკომპლექტებული ერთი ბატალიონი, რომელსაც მეთაურობდა რუსი ოფიცერი. აფხაზეთში მშვიდობის შენარჩუნება განისაზღვრა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ სხვა შეთანხმებით, რომელიც

მოსკოვში 1994 წლის მაისში გაფორმდა და, რომელსაც მოგვიანებით მხარი დაუჭირა გაეროს უშიშროების საბჭომაც, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა 3 000-მდე სამხედრო მოსამსახურით დაკომპლექტებული დსთ-ს სამშვიდობო ძალები (დსთ-ს სძ). თუმცა, დსთ-ში შემავალი ქვეყნებიდან მხოლოდ რუსეთმა გამოყო შეიარაღებული ძალები. 1993 წლის აგვისტოში საქართველოში შეიქმნა გაეროს სადამკვირვებლო მისია (UNOMIG). მის ფუნქციებში შედიოდა აფხაზეთთან დაკავშირებით არსებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებების განხორციელებაზე კონტროლის უზრუნველყოფა. გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს დაევალა, ხელი შეეწყო ქართულ-აფხაზური სამშვიდობო პროცესისათვის. ეუთოს მისიას, რომელიც 1993 წლის დეკემბერში სამხრეთ ოსეთის კონფლიქტთან დაკავშირებით შეიქმნა, მიენიჭა მანდატი კონფლიქტის მშვიდობიანი პოლიტიკური გადაწყვეტის მიზნით კონფლიქტში ჩართული მხარეებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. ეს სტრუქტურები რუსეთის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, თუ უშუალოდ არა, მისი ვეტოს დადების უფლებიდან გამომდინარე მაინც.

7.) ახალი ათასწლეულის დასაწყისში ნათელი გახდა, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გაურკვეველი პოლიტიკური სტატუსი უფრო ძნელად სამართავი იყო, და არც საკითხის ცალსახად გადაჭრის გზა ჩანდა. ამავე დროს, გამოიკვეთა გეოპოლიტიკური ცვლილებებიც, მათ შორის ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება და ახალი საერთაშორისო დაინტერესება კავკასიის რეგიონით, ახალი უსაფრთხოების მოსაზრებებიდან და ენერგორესურსების საჭიროებებიდან გამომდინარე. ახალი პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის მმართველობის პირობებში, რუსეთი გახდა უფრო სტაბილური და, ასევე თავდაჯერებული “ახლო საზღვარგარეთში” მისი გავლენის დამკვიდრების თვალსაზრისით. ცვლილებები საქართველოშიც ხდებოდა. უკვე თანამდებობრივი ფიცის დადებისას, პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების მოგვარება მისი პრეზიდენტობის პრიორიტეტი იქნებოდა. მისი თანამდებობაზე ყოფნის პირველივე 2004 წელს დიდი სირთულეების გარეშე, წარმატებით მოხდა სამხრეთ საქართველოს განცალკევებული რეგიონის, აჭარის თბილისის კონტროლს ქვეშ დაბრუნება, ასევე საქართველოს ეკონომიკის გაუმჯობესება, რამაც კიდევ მეტი გაბედულება შემატა პრეზიდენტ სააკაშვილის ზემოაღნიშნულ გადაწყვეტლებას. თუმცა, ორ სხვადასხვა მხარეს მოვლენები სხვადასხვაგვარად წარიმართა. მოკლე საწყისი პერიოდის შემდეგ, რომლის დროსაც საიმედო ნიშნებიც კი გამოიკვეთა, ურთიერთობები რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსა და ახლად არჩეულ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შორის მალევე დაიძაბა. პოლიტიკური კლიმატი მკვეთრად გაუარესდა. პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობის დროს საქართველოს სამხედრო დანახარჯები სწრაფად გაიზარდა მშპ-ს 1%-დან მშპ-ს 8%-მდე და მხოლოდ ერთეულები ვერ იაზრებდნენ ამის დანიშნულებას. გარდა ამისა, საქართველოს საგარეო პოლიტიკის მკვეთრად

გამოკვეთილმა პრო-დასავლურმა ორიენტაციამ და პრეზიდენტ სააკაშვილის ენერგიულმა მცდელობამ, საქართველო გამხდარიყო ნატოს წევრი, კიდევ უფრო მეტად შეაშფოთა რუსეთი, მიუხედავად იმისა, რომ პირველი თხოვნა ამ ორგანიზაციაში მიღების თაობაზე განსახილველად შეტანილი იყო პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ. საბოლოოდ, საქართველოს საგარეო პოლიტიკას სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში გამოუჩნდა თანამოაზრე მოკავშირეები, მათ შორის, კიევი ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ და მხარდაჭერა პრო-დასავლური ორიენტაციისა მთელ რიგ ქვეყნებში, დაწყებული ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან შავი და კასპიის ზღვის ქვეყნებით დამთავრებული. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ყველაფერს უკვალოდ არ ჩაუვლია რუსეთთან მიმართებაში, რომელიც პოსტ-საბჭოთა სივრცეში განახლებული თვითდაჯერებულობით ამოქმედდა.

8.) საქართველო-რუსეთის ურთიერთობების გაუარესების პარალელურად, რასაც თან სდევდა ინციდენტები, ასევე არამეგობრული და ზოგჯერ საომარი რიტორიკაც კი, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თბილისის საგარეო პოლიტიკურ პარტნიორებს შორის წამყვანი ადგილი დაიკავა. აშშ-მ მკაფიოდ გამოკვეთილი პოლიტიკური მხარდაჭერა დააფიქსირა საქართველოსა და, პირადად პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ, რამაც კულმინაციას მიაღწია 2005 წლის 10 მაისს პრეზიდენტ ბუშის მიერ თბილისში წარმოთქმულ ცნობილ სიტყვაში - "თავისუფლების შუქურა". აშშ-მ ასევე მნიშვნელოვანი ეკონომიკური დახმარება გასწია. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, საქართველო გახდა აშშ-ს დახმარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმღები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აშშ-მ წამოიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო დახმარების პროგრამა საქართველოსათვის, როგორც წვრთნისა და აღჭურვის, ასევე ფინანსური საშუალებების გამოყოფის თვალსაზრისით. თავდაპირველად, სამხედრო დახმარება ითვალისწინებდა საქართველოს დახმარებას სრული კონტროლის აღდგენაში პანკისის ხეობაში (კავკასია), სადაც დაუდასტურებელი ინფორმაციით, ჩეჩენი მეომრები აფარებდნენ თავს, როგორც ამას რუსეთი აცხადებდა. აშშ-ს მომდევნო სამხედრო დახმარების პროგრამები ითვალისწინებდა საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადებას საერთაშორისო მისიებში, კერძოდ კი კოსოვოში, ერაყსა და ავღანეთში მონაწილეობის მისაღებად. საბოლოოდ, შევარდნაძის პრეზიდენტობის წლებთან შედარებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა გაორმაგდა. ისინი გაცილებით უკეთ გაწვრთნილები და აღჭურვილები გახდნენ, ვიდრე მანამდე და ეს ახლად შექმნილი სამხედრო ძალა მოდერნიზებულ სამხედრო ბაზებზე განთავსდა; მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი - სენაკში, აფხაზეთის მიმართულებით, ხოლო მეორე ნაწილი გორის მახლობლად - სამხრეთ ოსეთის მიმართულებით. არსებული მონაცემებით, 2008 წლის აგვისტოში კონფლიქტის დაწყების დროს, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში აშშ-ს ასზე მეტი სამხედრო მრჩეველი იყო, ხოლო კიდევ უფრო მეტი ამერიკელი სპეციალისტი და მრჩეველი

აქტიურად იყო ჩართული საქართველოს სახელისუფლო სტრუქტურების და ადმინისტრაციის სხვადასხვა შტოში. მნიშვნელოვანი სამხედრო მხარდაჭერა აღჭურვილობის და, გარკვეულწილად წვრთნის თვალსაზრისით თანაბრად იქნა უზრუნველყოფილი რიგი სახელმწიფოების, პირველ რიგში უკრაინის, ჩეხეთის რესპუბლიკისა და ისრაელის მიერ. ამ უკანასკნელის მხარდაჭერა უფრო მეტად უზრუნველყოფილი იყო ტექნოლოგიური და ხარისხობრივი, ვიდრე რაოდენობრივი დახმარების სახით. ყოველივე ეს ერთად აღებული კი, საქართველოს სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერებას ემსახურებოდა, რაც სიამაყით იყო ხოლმე დემონსტრირებული შესაფერისი მოვლენების, მაგალითად ეროვნული სადღესასწაულო აღლუმების დროს.

9.) რაც შეეხება ევროპას, ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობამ არც თუ ისე დიდი მისწრაფება გამოიჩინა საქართველოსთვის დამატებითი სამხედრო დახმარების გაწევის კუთხით. თუმცა, ევროკავშირის, უფრო სწორად, მისი ზოგიერთი დიდი წევრი ქვეყნის მხრიდან, ადგილი ჰქონდა მშვიდობის დამყარების მცდელობებს. მაგალითად, ჩამოყალიბდა საქართველოს მეგობართა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი და გერმანია, რათა პოლიტიკურად ეთანამშრომლათ აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებით (აფხაზეთის პროტესტის საპასუხოდ, 1997 წლიდან მოყოლებული მათ ეწოდებოდათ გაეროს გენერალური მდივნის მეგობრები). ევროკავშირის მთელმა რიგმა აღმოსავლელმა და ჩრდილოელმა ქვეყნებმა მჭიდრო კავშირი დაამყარეს საქართველოსთან პრეზიდენტ სააკაშვილის ხელმძღვანელობის პერიოდში, რათა დახმარებოდნენ ქვეყანას მისი ატლანტიკური და ევროპული ორიენტაციის განვითარებაში. საქართველომ 1992-2004 წლებში ევროკავშირის კომისიისგან მიიღო 400 მილიონ ევროზე მეტი ეკონომიკური დახმარება. დამატებით ევროკავშირის ზოგიერთმა ქვეყანამ, მათ შორის გერმანიამ, ევროკავშირისგან დამოუკიდებლად ქვეყანას მნიშვნელოვანი ორმხრივი ეკონომიკური მხარდაჭერა აღმოუჩინა. ასევე, ევროპა ჩართული იყო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხების მოგვარების პროცესში.

1997 წლიდან მოყოლებული, სამხრეთ ოსეთში განხორციელდა ევროკავშირის კომისიის რამდენიმე პროექტი, ხოლო 2004 წელს საქართველო-ოსეთისა და საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტურ ზონებში დაიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ფართომასშტაბიანი სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელება. 2001 წლის აპრილში ევროკავშირის კომისია გახდა დამკვირვებელი, თუმცა მხოლოდ ეკონომიკურ საკითხებზე, ერთობლივი საკონტროლო კომისიის (შერეული ორგანო, რომელიც სამხრეთ ოსეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ სოჭის შეთანხმების განხორციელებას აკონტროლებდა) შეხვედრებზე. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი 1996 წელს მოეწერა და ის ძალაში 1999 წელს შევიდა.

10.) ახალი ათასწლეულის დაწყების შემდეგ აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოებამდე ცოტა ხნით ადრე, ევროკავშირმა უფრო აქტიური ქმედებების განხორციელება დაიყო სტაბილურობის ხელშესაწყობად მის მეზობელ აღმოსავლეთის რეგიონებში, მათ შორის სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში. 2003 წელს სამხრეთ კავკასიაში დაინიშნა ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი, რომლის თავდაპირველ მანდატს რეფორმის პოლიტიკის მხარდაჭერა წარმოადგენდა, ხოლო მოგვიანებით მას დაემატა კონფლიქტების მოგვარებაში დახმარების აღმოჩენა. ერთი წლის შემდეგ საქართველო თავის ორ სამხრეთ კავკასიელ მეზობელთან, სომხეთსა და აზერბაიჯანთან ერთად გაერთიანდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში, რომელიც უზრუნველყოფდა უფრო მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებს ევროკავშირთან და მეტი დახმარების გამოყოფას. ამგვარად, წლების განმავლობაში ევროპის ჩართვა საქართველოში მიმდინარე პროცესებში თანდათანობით იზრდებოდა, რაც შეიძლება განისაზღვროს, როგორც სამომავლო ეკონომიკური დახმარების თვალსაზრისით, ორმხრივად მეგობრული პოლიტიკური თვალსაზრისით, თანამშრომლობაზე ორიენტირებული, მაგრამ ფრთხილი სადავო პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში და, ევროკავშირის მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის მხრიდან გარკვეული ორმხრივი მხარდაჭერის გარდა, ძირითადად დისტანციური სამხრედრო მხარდაჭერისა და მგრძობიარე უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებაში. ამის კარგი მაგალითი იყო ევროპის მხრიდან სურვილის არქონა, თავის თავზე აეღო საზღვრის მონიტორინგის მისიის განხორციელება რუსეთის მოსაზღვრე კავკასიის ქედის გასწვრივ მას შემდეგ, რაც 2004 წელს რუსეთმა ვეტო დაადო ეუთოს მონაწილეობით მანამდე არსებულ მისიას. შესაძლებელია, რომ ამგვარმა ფრთხილმა მიდგომამ განაპირობა 2008 წლის აპრილის ნატოს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებაც, დადებითი პოზიცია დაეფიქსირებინა საქართველოს თხოვნაზე ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, მაგრამ თავი შეეკავებინა იმ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისგან, რაც უშუალოდ განსაზღვრავდა მის ამ ორგანიზაციაში მიღებას.

11.) მართალია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ წარმოშვა სადავო სამართლებრივი საკითხები, რომლებმაც თავის მხრივ გარკვეული როლი ითამაშა შეიარაღებული კონფლიქტების წარმოქმნაში, რასაც მოჰყვა 2008 წლის აგვისტო. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, ისევე როგორც ცალმხრივი გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფოდან გამოყოფის უფლების შესახებ წარმოადგენს იმ ორ სამართლებრივ საკითხს, რომელიც კონფლიქტს უკავშირდება. ორივე, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი თვითგამორკვევის უფლებას განიხილავს, როგორც სამართლებრივ საფუძველს შესაბამისი ტერიტორიების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვაში. თუმცადა, საერთაშორისო სამართალი არ აღიარებს ახალი სახელმწიფოს ცალმხრივი გადაწყვეტილებით შექმნის უფლებას ერთა

თვითგამორკვევის პრინციპებზე დაყრდნობით, თუ საქმე არ ეხება კოლონიალურ და აპარტიდულ შემთხვევებს. განსაკუთრებული თანხმობა სახელმწიფოდან გამოყოფაზე მისაღება ისეთი უკიდურესი პირობების შემთხვევაში, როგორც არის გენოციდი, რასაც ჯერჯერობით საყოველთაო აღიარება არ მოჰყოლია. როგორც შემდგომმა პერიოდმა გვიჩვენა, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტისა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შემდგომი აღიარების შემთხვევაში მისიამ დაადგინა, რომ გენოციდს ადგილი არ ჰქონია. უფრო მეტიც, უამრავი ქვეყნის საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე უმეტესი სახელმწიფოები ამკარად გამოხატავენ საწინააღმდეგო პოზიციას, როგორც ეს მაგალითად რუსეთმა კოსოვოს შემთხვევაში გააკეთა. ეს აგრეთვე ეხება სახელმწიფოს დანაწევრების პროცესს, რაც შეიძლება განხილული იქნეს საქართველოსთან მიმართებაში საჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. საყოველთაოდ მიღებული *uti possidetis* პრინციპის თანახმად, მხოლოდ ყოფილ საბჭოთა კავშირის შემადგენელ რესპუბლიკებს, როგორც არის საქართველო, და არა მათ ტერიტორიულ ნაწილებს, როგორც არის სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, შეუძლიათ მიიღონ დამოუკიდებლობა ისეთი დიდი სახელმწიფოს დაშლის შემთხვევაში, როგორც არის საბჭოთა კავშირი. აქედან გამომდინარე, სამხრეთ ოსეთს არ ჰქონდა საქართველოდან გამოყოფის უფლება, და ზუსტად იგივე ეხება აფხაზეთსაც იმავე მიზეზებიდან გამომდინარე. სეპარატისტული ტერიტორიული ერთეულების, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარება მესამე ქვეყნის მიერ შესაბამისად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, რადგან ასეთი ქმედება წარმოადგენს უკანონო ჩარევას დაზარალებული ქვეყნის, ამ შემთხვევაში საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაში. ეს ეწინააღმდეგება ჰელსინკის დასკვნითი აქტის პრინციპებს, რომლის თანახმად "მონაწილე ქვეყნებმა პატივი უნდა სცენ ერთმანეთის სუვერენულ თანასწორობას და ინდივიდუალობას, ისევე როგორც უფლებებს, რომლებსაც მოიცავს და ითვალისწინებს ეს სუვერენიტეტი, კერძოდ ამაში შედის ყველა ქვეყნის უფლება სამართლებრივ თანასწორობაზე, ტერიტორიულ მთლიანობაზე, თავისუფლებასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე.

12.) კიდევ ერთი სამართლებრივი საკითხი, რომელიც კონფლიქტსა და რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობებს უკავშირდება, არის რუსული ეგრეთ წოდებული "პასპორტიზაციის" პოლიტიკა, რაც გულისხმობს მასიურად რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებას და შემდგომ პასპორტების გაცემას იმ პირებზე, რომლებიც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ცხოვრობენ. ამჟამად, ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის უმრავლესობა რუსული პასპორტების მფლობელია. მაშინ, როცა წინა პერიოდში რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება ინდივიდუალური შემთხვევების განხილვით ხდებოდა, მოქალაქეობის შესახებ ახალი რუსული კანონმდებლობით, რომელიც ძალაში 2003 წელს შევიდა, მოქალაქეობის მინიჭება რეგულირდება მე-13 და მე-14 მუხლებით, რაც რუსეთის მოქალაქეობის მიღების გამარტივებულ პროცედურებს წარმოადგენს. ამით

ფართოდ გაეხსნათ კარი ათასობით განაცხადის შემტანს სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან. ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა სხვა სახელმწიფოებისთვის ვალდებულება აიღოს მოქალაქეობის მინიჭებაზე საერთაშორისო სამართლის ფარგლებში არის აუცილებლობა ადეკვატური ფაქტობრივი კავშირის არსებობის განაცხადის წარმდგენსა და მიმღებ სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში კი რუსეთს შორის. თუმცადა, გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს თვითნებური. მაგალითად, ფაქტობრივი კავშირის ასეთ შემთხვევებს წარმოადგენს ოჯახის გაერთიანება, ხანგრძლივი პერიოდით სხვა ქვეყანაში ცხოვრება, გრძელვადიანი საჯარო ან სამხედრო სამსახური. დამატებით, აუცილებელია მშობლიური ქვეყნის ცალსახად გამოხატული თანხმობა. თუმცადა, საქართველოს კანონმდებლობა არ აღიარებს ორმაგ მოქალაქეობას. ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც საკმარისი საფუძველი, ვინაიდან საბჭოთა კავშირის მოქალაქეობის სტატუსი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საქართველოს მოქალაქეობის სტატუსით შეიცვალა. ამ მოთხოვნების შესაბამისად მინიჭებული მოქალაქეობის მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა შეიძლება მიჩნეული იყოს კანონიერად საერთაშორისო სამართლის ფარგლებში. საერთაშორისო სამართლის თანახმად, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ნატურალიზებული მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთის მოქალაქე არ არის. ამ გზით მინიჭებული რუსული მოქალაქეობის აღიარება არ არის სავალდებულო არც საქართველოსთვის და არც რომელიმე მესამე ქვეყნისთვის. შესაბამისად ის პირები, რომლებიც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ცხოვრობენ და რომლებიც საქართველოს მოქალაქეები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდნენ, ”პასპორტიზაციის” პოლიტიკისდა მიუხედავად საქართველოს მოქალაქეებად რჩებიან. 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში ისინი ჯერ კიდევ საქართველოს მოქალაქეები იყვნენ და, სამართლებრივი თვალსაზრისით დღემდე საქართველოს მოქალაქეებად რჩებიან, თუ მათ უარი არ უთქვამთ მოქალაქეობაზე ან არ დაუკარგავთ საქართველოს მოქალაქეობა დადგენილი პროცედურების დაცვით. რუსეთის მოქალაქეობის მასიური მინიჭება საქართველოს მოქალაქეებისთვის და პასპორტების მასიური გაცემა საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის სეპარატისტული რეგიონების ჩათვლით, საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, ეწინააღმდეგება კეთილმეზობლური პოლიტიკის პრინციპებს, რაც საქართველოს სუვერენიტეტს აშკარად უქმნის სირთულეებს და საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევას წარმოადგენს.

13.) კონფლიქტის ზონაში ხანგრძლივი უკიდურესი დამაბულობა ღია სამხედრო დაპირისპირებას აღწევდა. უკვე 2008 წლის გაზაფხულზე სიტუაციის კრიტიკული გაუარესება აღინიშნებოდა საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტურ ზონაში. დამაბულობის ერთ–ერთი ფაქტორი კონფლიქტის ზონაში საჰაერო მანევრირების ინტენსივობა გახლდათ, ცეცხლის შეწყვეტის ზონაში რეაქტიული საბრძოლო თვითმფრინავებისა და უპილოტო საფრენი აპარატების UAV (დისტანციური მართვის

საფრენი აპარატი) გახშირებული ფრენების ჩათვლით. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, რამდენიმე ქართული უპილოტო საფრენი აპარატი (UAV) იქნა ჩამოგდებული აფხაზური და რუსული ძალების მიერ. 2008 წლის აპრილში რუსული შემადგენლობით დაკომპლექტებული დსთ-ს სამშვიდობო ძალების შემადგენლობა დამატებითი სამხედრო ნაწილებით გაძლიერდა და მიუხედავად საქართველოს პროტესტებისა, 2008 წლის მაისის ბოლოს რუსული სამხედრო სარკინიგზო ნაწილი გაიგზავნა აფხაზეთში ადგილობრივი რკინიგზის აღსადგენად, სავარაუდოდ ჰუმანიტარული მისიის მიზნით. 2008 წლის გაზაფხულზე განვითარებულ მოვლენებს მოჰყვა ზაფხულში საზოგადოებრივი ადგილების დაბომბვა ცეცხლის შეწყვეტის ზოლის აფხაზურ ნაწილში, ისევე როგორც გზების აფეთქება საქართველოს მხარეზე.

2008 წლის ზაფხულში დაძაბულობის ცენტრი იცვლება და კონფლიქტი საქართველო-აფხაზეთის ზონიდან გადმოდის საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტურ ზონაზე, რასაც ბიძგი მისცა საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის განხორციელებულმა გამანადგურებელმა შეტევებმა, ინტენსიური ორმხრივი ცეცხლით, ნაღმტყორცნებისა და მძიმე საარტილერიო სროლების ჩათვლით. როგორც ივლისის დასაწყისში გამოჩნდა, კონფლიქტი უკვე აფეთქების ზღვარს უახლოვდებოდა იმავდროულად ინტენსიურად განვითარებული დიპლომატიური ურთიერთობების ფონზე. ივლისის შუა თვეში ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით ყოველწლიური სამხედრო წვრთნები სახელწოდებით "სწრაფი რეაგირება" ჩატარდა თბილისის გარეთ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე. წვრთნებში მონაწილეობას იღებდა 2 000 სამხედრო პირი საქართველოდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და უკრაინიდან. 2008 წლის 15 ივლისი - 2 აგვისტოს პერიოდში რუსეთის სამხედრო ძალებმა განახორციელეს ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები ჩრდილო კავკასიის სამხედრო ნაწილში რუსეთ-საქართველოს საზღვრის ახლოს, ისევე როგორც შავ ზღვაზე. აგვისტოს დასაწყისში სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ დაიწყო მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. მართლაც, სცენა საომარი მოქმედებებისთვის მომზადებულად ჩანდა.

14.) ღია სამხედრო მოქმედებები დაიწყო ფართომასშტაბიანი ქართული სამხედრო ოპერაციით, რომელიც განხორციელდა ქალაქ ცხინვალისა და მისი შემოგარენის მიმართულებით 2008 წლის 7-დან 8 აგვისტოს ღამეს. ოპერაცია საქართველოს მასიური საარტილერიო შეტევით დაიწყო. სამხედრო ოპერაციის დაწყებისთანავე, საქართველოს გაერთიანებული სამშვიდობო ძალების (JPKF) სარდალმა, ბრიგადის გენერალმა მამუკა ყურაშვილმა განაცხადა იმის შესახებ, რომ სამხედრო ოპერაცია მიზნად ისახავდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას. ოდნავ მოგვიანებით საქართველოს მხარემ უარყო მამუკა ყურაშვილის განცხადება, როგორც უფლებამოსილების არმქონე პირის მიერ გაკეთებული და სამხედრო ოპერაციის დაწყების საფუძვლად რუსეთის სამხედრო ძალების შემოჭრა გამოაცხადა.

საქართველოს ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, რომელიც მისიას ამასთან დაკავშირებით მიეწოდა, "იმისათვის, რომ დაცული ყოფილიყო საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, ასევე საქართველოს მოსახლეობის უსაფრთხოება, 7 აგვისტოს 23:35 წუთზე საქართველოს პრეზიდენტმა გასცა ბრძანება თავდაცვითი ოპერაციის დაწყების შესახებ შემდეგი მიზნებით:

- მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში;
- საცეცხლე პოზიციების გაუვნებლყოფა, საიდანაც დაიწყო ცეცხლის გახსნა მშვიდობიანი მოსახლეობის, ქართული სამშვიდობო შენაერთებისა და პოლიციის წინააღმდეგ;
- რუსეთის ფედერაციის რეგულარული არმიის ნაწილების როკის გვირაბით, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში შემოსვლის შეჩერება".

15.) რუსეთის შემოჭრის შესახებ ბრალდება საქართველოს მხრიდან გამყარებული იყო მრავალრიცხოვანი საჯარისო ნაწილებისა და ჯავშან-ტექნიკის უკანონო შემოყვანით სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მანამ, სანამ ქართული სამხედრო ოპერაცია დაიწყებოდა. მისიის კითხვებზე საქართველოს პასუხების თანახმად, რუსეთის სამხედრო ძალების თანდათანობითი გაზრდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 2008 წლის ივლისში დაიწყო და გაგრძელდა აგვისტოში, საჯარისო ნაწილების, სამედიცინო კადრების, კარვების, ჯავშან-ტექნიკის, თვითმავალი არტილერიისა და საარტილერიო ცეცხლსასროლების რაოდენობის გაზრდის ჩათვლით. ქართული მხარის მტკიცებით ეს პროცესი ინტენსიური გახდა 6-დან 7 აგვისტოს დამეს და 7 აგვისტოს გვიან საღამოს. თუმცადა, საქართველოს მხრიდან ბრალდება 8 აგვისტომდე რუსეთის ჯარის რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსულმა მხარემ უარყო. მისიისთვის რუსული მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, პირველი რუსული საჯარისო შენაერთები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შევიდნენ და, რუსულმა საჰაერო ძალებმა და არტილერიამ დაიწყო შეტევა საქართველოს სამიზნე ობიექტებზე 8 აგვისტოს, 14:30 წუთზე, ანუ მაშინვე, როგორც კი რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ ინტერვენციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

16.) მისიას არ შეუძლია განიხილოს საქართველოს ბრალდება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 2008 წლის 8 აგვისტომდე რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო შემოჭრის შესახებ, როგორც საკმარისად დასაბუთებული. მიუხედავად ამისა, არსებობს რიგი ანგარიშებისა და პუბლიკაციებისა, მათ შორის რუსული წარმომოშობის, რომლებიც რუსეთის მხრიდან წვრთნებისა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ძალებისათვის 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე სამხედრო შეიარაღების მიწოდებაზე მიაწოდებდა. და კიდევ, როგორც აღმოჩნდა, აგვისტოს დასაწყისში არსებობდა მოხალისეებისა და დაქირავებულების ნაკადის დენა რუსეთის ტერიტორიიდან სამხრეთ ოსეთში, როკის

გვირახისა და კავკასიონის უღელტეხილის გავლით. ასევე, რუსული გაერთიანებული სამშვიდობოების ბატალიონის გარდა, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა რუსული საჯარისო ნაწილები, 2008 წლის 8 აგვისტოს 14:30 წუთამდე. ასევე აღმოჩნდა, რომ რუსეთის საჰაერო ძალებმა დაიწყეს ოპერაციები საქართველოს სამიზნე ობიექტების წინააღმდეგ, რომელიც გასცდა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებს ჯერ კიდევ 8 აგვისტოს დილას, ესე იგი, იმაზე ადრე, რასაც რუსეთის ოფიციალური წყაროები იუწყებიან. არსებული მონაცემებით, რუსეთის საჰაერო ძალებმა დაიწყეს შეტევა საქართველოს ცენტრალურ ნაწილზე (ვარიანი, გორი). ეტაპობრივად გააფართოვეს სამოქმედო არეალი და გადავიდნენ საქართველოს სხვა რეგიონებზეც, მათ შორის სენაკის სამხედრო ბაზაზე, ფოთის პორტის სამხედრო სამიზნეებზე და დედაქალაქ თბილისზე, ასევე, ორმაგი დანიშნულების სამიზნე ობიექტებზე, როგორც არის თბილისის აეროპორტის რადარი, რკინიგზა და სხვა ინფრასტრუქტურული და საკომუნიკაციო ობიექტები. არსებობს მოვლენების ურთიერთსაწინააღმდეგო ანგარიშები იმის შესახებ, მოხდა თუ არა ზოგიერთ შემთხვევაში სამოქალაქო ობიექტების შეგნებულად განადგურება თუ ადგილი ჰქონდა ეგრეთ წოდებული ირიბი ზიანის მიყენებას. მისიას რომელიმე ვერსიის სასრგებლოდ არავითარი დამაჯერებელი მტკიცებულებები არ მოუპოვებია. ამას გარდა, რუსეთის სახმელეთო და საჰაერო ძალებთან ერთად შავი ზღვის ფლოტიც ჩაერთო შეიარაღებულ კონფლიქტში მალევე, და საქართველოს ტერიტორიაზე სამიზნე ობიექტებზე შეტევა ხორციელდებოდა არამარტო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, არამედ მის მიღმაც, უმაგრებდა რა ფლოტი ზურგს სახმელეთო ოპერაციებსაც.

17.) შეიარაღებული კონფლიქტის განმავლობაში, რომელიც შემდგომ "ხუთდღიანი ომის" სახელწოდებით გახდა ცნობილი და მას შემდეგაც, რუსული მხარე ამართლებდა საკუთარ სამხედრო ინტერვენციას იმით, რომ შეეჩერებინათ ოსური მოსახლეობის ეგრეთ წოდებული მიმდინარე გენოციდი საქართველოს ძალების მიერ, დაეცვა სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსული სამშვიდობო ჯარები, რომლებიც იქ 1992 წელს ქალაქ სოჭში დადებული ხელშეკრულების თანახმად იმყოფებოდნენ. რუსეთის მხარის მტკიცებით, 2008 წლის 8 აგვისტოს დილით საქართველომ შეუტია რუსეთის სამშვიდობო ძალების შენობას ცხინვალში, რის შედეგადაც დაიღუპა ორი და დაიჭრა 5 მშვიდობისმყოფელი სამხედრო პირი. საქართველოს მხარემ უარყო რუსეთის სამშვიდობო შენაერთებზე განზრახ იერიშის მიტანა და განაცხადა, რომ საქართველოს საჯარისო ნაწილებს ცხინვალში შესვლისას ცეცხლი გაუხსნეს რუსეთის სამშვიდობო ძალების მხრიდან და ისინი იძულებულნი გახდნენ საპასუხო ცეცხლი გაეხსნათ. მისიას არ გააჩნია დამოუკიდებელი ანგარიშები, რომელიც მხარეების ბრალდებების საფუძვლიანად დასაბუთებას ან უარყოფას შეძლებდა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ადგილზე შექმნილ საფრთხის შემცველ გარემოებებს, დანაკარგები რუსეთის სამშვიდობო

ძალების შემადგენლობაში ნამდვილად შეიძლებოდა ყოფილიყო. რაც შეეხება რუსებისა და სამხრეთ ოსების ბრალდებას გენოციდთან დაკავშირებით, ასეთი ბრალდებები შემდგომ თვეებში ნაკლები სიხშირით გვხვდება. გენოციდის განზრახვაში დადანაშაულებული ქართველების ბრალი ვერ მტკიცდება. ოსურ მშვიდობიან მოსახლეობაში დაღუპულთა რაოდენობა გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე ეს დასაწყისში იყო გაცხადებული. დასაწყისში რუსეთის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ 2 000 მშვიდობიანი მოსახლე იყო მოკლული ქართული ჯარის მიერ. მოგვიანებით, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტში სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას შორის დაღუპულთა რიცხვი 162-მდე შემცირდა. 10 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ გააკეთა განცხადება ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტისა და სამხრეთ ოსეთიდან ჯარების გამოყვანის განზრახვის შესახებ. მიუხედავად ამისა, ცეცხლის შეწყვეტა მეორე მხარის მიერ არ განხორციელებულა. საბოლოოდ, 10-დან 11 აგვისტოს ღამეს საქართველოს მხარემ ჯარის უმეტესი ნაწილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან გამოიყვანა. ამას მოჰყვა რუსეთის ჯარის ღრმად შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელმაც გადმოკვეთა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრები და გამალა სამხედრო ბანაკები საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში, მათ შორის გორში, ზუგდიდში, სენაკსა და ფოთში. სამხედრო ქმედებების დასკვნითი ფაზის პერიოდში აფხაზურმა ნაწილებმა რუსეთის ჯარის დახმარებით შეუტია ქართულ პოზიციებს ზემო კოდორის ხეობაში და დაიკავა ეს ტერიტორია, რომელიც საქართველოს ჯარმა და ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა უკვე 2008 წლის 12 აგვისტოსთვის დატოვა.

18.) რუსეთმა მის საომარ ქმედებას საქართველოში "მშვიდობის იძულებით დამყარების ოპერაცია" უწოდა, მაშინ როცა საქართველო ამას "აგრესიას" უწოდებს. საერთაშორისო საზოგადოებამ ისეთი ძირითადი მოთამაშეების ჩათვლით, როგორც არის ევროკავშირი, თავი შეიკავა რაიმე ფორმის ოფიციალური კვალიფიკაციის მიცემისგან მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა საერთო მოთხოვნა საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. 12 აგვისტოს ნიკოლა სარკოზი, ევროპის საბჭოს თავმჯდომარის რანგში ჩავიდა მოსკოვსა და თბილისში, რათა სამხედრო დაპირისპირება შეეჩერებინა. შეთანხმდა ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი გეგმა, რომელიც მათ შორის ითვალისწინებდა სამხედრო ოპერაციების დაუყოვნებლივ შეჩერებასა და საჯარისო ნაწილების იმ პოზიციებზე დაბრუნებას, რომელიც მათ კონფლიქტის წინ ეკავათ. მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლის შეწყვეტა გამოცხადდა, რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის სამხედრო ნაწილები, მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, აგრძელებდნენ დამატებითი ტერიტორიების ოკუპაციას, მათ შორის ახალგორის რაიონში, რომელიც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე საქართველოს ადმინისტრაციულ ერთეულში შედიოდა მიუხედავად იმისა, რომ ის სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარეობს, რაც თავის მხრივ საბჭოთა კავშირის პერიოდში საზღვრების დადგენისას

გადაწყდა. 22 აგვისტოს შემდეგ რუსეთის ჯარის ძირითადმა ნაწილიმა დატოვა პოზიციები და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაბრუნდა, ზოგიერთმა მათგანმა ეს მოსკოვში 2008 წლის 8 სექტემბერს მიღწეული შეთანხმების შემდეგ გააკეთა, ზოგმა კი უფრო მოგვიანებით 2008 წლის ოქტომბრის დასაწყისში. ყველა მხარის მიერ ზემოაღნიშნული ორი შეთანხმების სრული დაცვა დავის საგნად რჩება. უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის 8 სექტემბერს განხორციელების თაობაზე მიღწეული შეთანხმების შემდეგ, სამხედრო ოპერაციების საშიშროება უკანა პლანზე გადავიდა და დაიწყო პოლიტიკური და დიპლომატიური ქმედებების ფაზა. ეს გულისხმობს დაძაბულ დისკუსიებს კონფლიქტის პასუხისმგებლობაზე, რომელიც იარაღის დადებამდე გაცილებით ადრე დაიწყო.

19.) არსებობს კითხვა იმის შესახებ, იყო თუ არა საერთაშორისო სამართლის მიხედვით გამართლებული საქართველოს მხრიდან ძალის გამოყენება, რომელიც სამხრეთ ოსეთში 2008 წლის 7/8 აგვისტოს ცხინვალის დაბომბვის ოპერაციით დაიწყო. კითხვაზე პასუხია არა. საქართველოს გათვითცნობიერებული ჰქონდა, რომ ძალის გამოყენებლობის შესახებ პუნქტი, როგორც ეს განსაზღვრულია კონკრეტულ შესასრულებლად სავალდებულო საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში, როგორც არის 1992 წლის სოჭის ხელშეკრულება და 1996 წლის მემორანდუმი საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთდობის გაძლიერებისა და უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის შესახებ, ვრცელდება სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის შემთხვევაშიც. რომც დავუშვათ, რომ საქართველო განხორციელებულ შეტევას იგერიებდა, ანუ მისი რეაქცია სამხრეთ ოსეთის მხრიდან ქართველებით დასახლებულ სოფლებზე განხორციელებულ შეტევაზე პასუხს წარმოადგენდა, საერთაშორისო სამართლის თანახმად საქართველოს შეიარაღებული პასუხი უნდა ყოფილიყო აუცილებელი და პროპორციული. შეუძლებელია დავუშვათ, რომ მთელი ღამის განმავლობაში ცხინვალის დაბომბვა გრადის ტიპის მასიური სარაკეტო დანადგარებითა და მძიმე არტილერიით შესაბამისობაშია აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნასთან იმისთვის, რომ დაცული ყოფილიყო სოფლები. საქართველოს სამხედრო შეტევის კანონსაწინააღმდეგო ხასიათიდან გამომდინარე, სამხრეთ ოსეთის მიერ განხორციელებული საპასუხო თავდაცვითი სამხედრო ქმედებები ნამდვილად შეესაბამება საერთაშორისო სამართლით დადგენილ თავდაცვის კანონიერების პრინციპებს. მიუხედავად ამისა, სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალების მიერ განხორციელებული ნებისმიერი ოპერაცია, რომელიც ქართული საჯარისო ფორმირებების შეტევის მოგერიებას გასცდა, კერძოდ კი ის ქმედებები, რომლებიც ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ განხორციელდა, უნდა ჩაითვალოს სამხრეთ ოსეთის მხრიდან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და, ბევრ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა შესახებ სამართლის დარღვევად. უფრო მეტიც, სამხრეთ ოსეთის მიერ განხორციელებული

ყველა სამხედრო ქმედება, რომელიც მიმართული იყო საქართველოს შეარაღებული ძალების წინააღმდეგ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ამოქმედების შემდეგ, ასევე კანონსაწინააღმდეგო იყო.

20.) რაც შეეხება კონფლიქტის საწყის ფაზას, დამატებითი სამართლებრივი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: გამართლებული იყო თუ არა საქართველოს მხრიდან რუსული სამშვიდობოების წინააღმდეგ ძალის გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე, ე.ი. სამხრეთ ოსეთში. პასუხი კვლავ უარყოფითია. ქართული ოპერაციის დაწყებამდე რუსეთის მიერ შეიარაღებული თავდასხმა არ მიმდინარეობდა. საქართველოს მხარის მტკიცება სამხრეთ ოსეთში რუსული შეიარაღებული ძალების ფართომასშტაბიანი თავმოყრის შესახებ, საქართველოს მხრიდან 7/8 აგვისტოს განხორციელებულ შეტევამდე, კომისიის მიერ ვერ იქნა დადასტურებული (გადამოწმებული). ასევე, ვერ იქნა დადასტურებული ის ფაქტიც, რომ რუსეთი ასეთი სერიოზული თავდასხმის განხორციელების ზღვარზე იმყოფებოდა მიუხედავად იმისა, რომ მზადყოფნაში იყო მოყვანილი გარკვეული ქვედანაყოფები და ტექნიკა. ასევე არ არსებობს იმის დამადასტურებელი გარემოებები, რომ სამხრეთ ოსეთში რუსული მშვიდობისმყოფელთა დანაყოფები უხეშად არღვევდა შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, მაგ. სოჭის შეთანხმებით მათთვის მინიჭებულ ვალდებულებებს, რითაც, შესაძლოა საერთაშორისო სამართლებრივ სტატუსს კარგავდნენ. შესაბამისად, საქართველოს მიერ ცხინვალში რუსი მშვიდობისმყოფელების წინააღმდეგ ძალის გამოყენება 2008 წლის 7/8 აგვისტოს ღამეს საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგებოდა.

21.) რუსული სამხედრო ძალების საქართველოს წინააღმდეგ მოქმედების სამართლებრივი შეფასებისას საჭიროა პასუხის დიფერენცირება. რუსული რეაქცია ქართული მხარის შეტევაზე შეიძლება დაიყოს ორ ფაზად: პირველი, დაუყოვნებელი რეაქცია რუს მშვიდობისმყოფელთა დაცვის მიზნით, და მეორე, რუსული შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოში სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიღმა გაცილებით ღრმად შეჭრა. პირველ შემთხვევაში ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ რუს მშვიდობისმყოფელებზე თავდასხმის შემთხვევაში, რუსეთს ჰქონდა მათი დაცვის უფლება თავდასხმისას გამოყენებული ძალის თანაზომიერი ძალის გამოყენებით. შესაბამისად, რუსეთის მიერ თავდაცვის მიზნით ძალის გამოყენება კონფლიქტის პირველ ფაზაში კანონიერად შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება მეორე პუნქტს, დასადგენია, რუსეთის შემდგომი სამხედრო კამპანია საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში ქართული მხარის საწყისი თავდასხმის საპასუხო თავდაცვითი ქმედების სახით, იყო თუ არა აუცილებელი და თანაზომიერი. მიუხედავად იმისა, რომ დასაშვები ზღვარის გავლება ადვილი არ იყო, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ რუსული სამხედრო ქმედების დიდი ნაწილი გონივრული დაცვის საზღვრებს მნიშვნელოვნად

გაცდა. ეს ეხება ყველა სახის მასიურ და ხანგრძლივ სამხედრო ქმედებებს, რომელიც მოიცავდა კოდორის ხეობის ზედა ნაწილის დაბომბვას, შეიარაღებული ჯარების განლაგებას საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დაფარვის მიზნით, სამხედრო პოზიციების გამაგრებით ქართულ ქალაქებსა და მათ შორიახლოს, მათ შორის, ძირითადი საგზაო მაგისტრალის კონტროლის მიზნით, და შავ ზღვაზე საზღვაო სამხედრო ძალების განლაგებას. ყოველივე ზემოხსენებული მიახლოებითაც ვერ ჩაითვლება სამხრეთ ოსეთში რუს მშვიდობისმყოფელთათვის შექმნილი საფრთხის თანაზომიერად. უფრო მეტიც, არავითარი გამართლება ვერ მოეძებნება ხანგრძლივ ნგრევას, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შემდგომ განხორციელდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც რუსეთის ხანგრძლივი სამხედრო ქმედება საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში საერთაშორისო სამართლის დარღვევით მიმდინარეობდა, საქართველოს სამხედრო ძალები კანონიერი თავდაცვის მიზნით, გაეროს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად მოქმედებდნენ. ამდენად, კანონიერი და უკანონო სამხედრო ქმედების ვექტორი ორ ძირითად მოქმედ პირს - საქართველოსა და რუსეთს შორის - სულ რამდენიმე დღეში შემობრუნდა.

22.) შეიძლება თუ არა რუსეთის მიერ ძალის გამოყენება გამართლებულ იქნას, როგორც "ჰუმანიტარული ინტერვენცია" სამხრეთ ოსეთის მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მიზნით? უპირველეს ყოვლისა, ეს ერთობ წინააღმდეგობრივი საკითხია, რომელიც სამართლის ექსპერტთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. კერძოდ, შეიძლება თუ არა [ძალის გამოყენების] გამართლება ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელების მიზნით. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჰუმანიტარული ინტერვენცია [ძალის გამოყენებით] ადამიანის უფლებათა დარღვევების აღკვეთის მიზნით დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, თუ საერთოდ არის დასაშვები. გავლენიან ქვეყნებს შორის რუსეთი განსაკუთრებით თანმიმდევრულად და დაჟინებით ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერ განცხადებას კოსოვოში ნატო-ს ინტერვენციის ჰუმანიტარული მიზნების შესახებ. შესაბამისად, ის ვერ გამოიყენებს მის მიერვე ფორმალურად არადიარებულ დასაბუთებას საქართველოს ტერიტორიაზე საკუთარი ინტერვენციის გასამართლებლად. და როგორც უშუალოდ მოსაზღვრე სახელმწიფოს, რუსეთს გააჩნია მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სხვა სახის ინტერესები სამხრეთ ოსეთსა და რეგიონში მთლიანად. ასეთ გარემოებებში, ჰუმანიტარული ინტერვენციის აღიარება საერთოდ გამორიცხულია.

23.) და ბოლოს, რუსეთის ფედერაციამ წამოწია საკითხი სამხრეთ ოსეთში მაცხოვრებელ საკუთარ მოქალაქეთა დაცვის შესახებ. რუსეთის კონსტიტუციის 61 (2)-ე მუხლის თანახმად, "რუსეთის ფედერაცია უზრუნველყოფს საკუთარი მოქალაქეების დაცვასა და მფარველობას ქვეყნის საზღვრებს გარეთ". ამავდროულად, 1945 წლიდან მრავალი ქვეყნის მიერ სამხედრო მოქმედებების წარმოება ხდებოდა საზღვარგარეთ მყოფ

საკუთარ მოქალაქეთა დაცვის საჭიროებაზე აპელირებით. ხშირ შემთხვევაში, აღნიშნულ ქმედებათა კანონიერება ეჭვქვეშ დგებოდა. არ არსებობს ჩვეულებითი სამართალი, რომელიც მსგავსი ქმედებების ლეგიტიმურობას აღიარებს. თუ მოხდება მსგავსი ქმედებების დაშვება, საჭირო იქნება მათი მასშტაბებისა და ხანგრძლივობის შეზღუდვა და კონცენტრირება მხოლოდ მოქალაქეთა გადარჩენასა და ევაკუაციაზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ქმედებების მიზანს წარმოადგენდა რუსეთის მოქალაქეთა გადარჩენა და ევაკუაცია, თუმცა ის მნიშვნელოვნად გასცდა ამ ზღვარს ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის გაშლით საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე. შესაბამისად, დასკვნა მდგომარეობს შემდეგში, რომ რუსეთის სამხედრო ოპერაცია სამხრეთ ოსეთში არსებითად საერთაშორისო სამართლის დარღვევით განხორციელდა.

24.) და ბოლოს, კოდორის ხეობის ზედა ნაწილში მიმდინარე სამხედრო ოპერაციები დეტალურ ანალიზს საჭიროებს. 1994 წლის მოსკოვის შეთანხმება "ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ", რომელსაც აფხაზურმა მხარემაც მოაწერა ხელი ითვალისწინებდა, რომ "მხარეები ვალდებული არიან ზედმიწევნით დაიცვან ცეცხლის შეწყვეტა ხმელეთზე, საზღვაო და საჰაერო სივრცეში და თავი შეიკავონ ყველა სახის სამხედრო ქმედებისაგან ერთმანეთის წინააღმდეგ". მოსკოვის შეთანხმების პირობების მიხედვით, კოდორის ხეობის ზედა ნაწილი არ წარმოადგენდა აფხაზური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიას, ამდენად, აფხაზური ქვედანაყოფების მიერ რუსული სამხედრო ძალების მხარდაჭერით იერიშის მიტანა [კოდორის ხეობის ზედა ნაწილზე] წარმოადგენს ძალის უკანონო გამოყენებას, რაც იკრძალება ხელშეკრულებით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და გაეროს წესდების მე-2 (4) მუხლით; და საქართველოზე თავდასხმას გაეროს წესდების 51-ე მუხლის მიხედვით. ამასთან, გამართლებულია საქართველოს მიერ თავდასხმაზე საპასუხოდ ძალის გამოყენება კანონიერი თავდაცვის მიზნით. სამხედრო ოპერაციის გამართლების მცდელობისას, აფხაზეთის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი იყო ოთხი განსხვავებული განმარტება. აფხაზეთის მხარე ამტკიცებდა, რომ სამხედრო ოპერაცია დაიწყო "კოდორის ხეობის გასათავისუფლებლად" და რომ მისი განხორციელება აუცილებელი იყო მშვიდობიან მოსახლეობაზე ტერორისტული თავდასხმების აღსაკვეთად. შემდეგ ის ამტკიცებდა, რომ აფხაზეთის მხრიდან ოპერაციის განხორციელება აუცილებელი იყო საქართველოს მხრიდან აფხაზეთის წინააღმდეგ მოსალოდნელი სამხედრო ოპერაციის წინასწარ აღსაკვეთად; და ბოლოს, აფხაზეთი მოვალედ თვლიდა თავს გაეხსნა "მეორე ფრონტი" 2005 წლის 19 დეკემბერს სამხრეთ ოსეთთან გაფორმებული "მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების" მიხედვით. თუმცა, წარმოდგენილი განმარტებებიდან ვერცერთი ჩაითვლება ფაქტებით განმტკიცებულად ან სამართლებრივად დასაბუთებულად. ამდენად, აფხაზეთის მიერ ძალის გამოყენება საერთაშორისო სამართლით მიხედვით გაუმართლებელია. იგივე ეხება რუსეთის მიერ

ხელშეწყობას აღნიშნულ ოპერაციებში. 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისას ძალის გამოყენების შესახებ მიმოხილვის დასასრულს, კიდევ ერთხელ ყურადღება უნდა დაეთმოს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე ძალის გამოყენების მრავალჯერ განმეორებულ მუქარას ერთი ან მეორე მხარის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს წესდების მე-2(4) მუხლი და შესაბამისი ხელშეკრულებები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ქვეყნებისა და კონფლიქტის მონაწილე მხარეებისგან მოითხოვს არა მარტო ძალის გამოყენებისგან თავის შეკავებას, არამედ კონკრეტულად ძალის მუქარისგან თავის შეკავებასაც. ასეთი ხასიათის მუქარა ასევე ეწინააღმდეგება წესდების მე-2(3) მუხლს, რომელიც ითვალისწინებს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ვალდებულებას. შესაბამისად, ყველა მხარის მიერ ძალის გამოყენების მუქარა არაკანონიერია და საერთაშორისო სამართლის დარღვევას წარმოადგენს.

25.) პოლიტიკური და სამხედრო მოვლენები და პროცესები, საერთაშორისო სამართლის მიხედვით მათი სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის ჩათვლით, პოლიტიკოსთა ყურადღებას ნამდვილად იპყრობს. თუმცა, ისიც ეჭვს გარეშეა, რომ კონფლიქტში უშუალოდ ჩართულ ადამიანებს უპირველეს ყოვლისა ადამიანის ბედი და განსაცდელი ამახსოვრდებათ. 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტისას, სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა მრავალ დანაშაულს, რომელიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევას წარმოადგენს. გარდა იმ დანაშაულებრივი ქმედებებისა, რომელიც ჩადენილი იყო ხუთდღიანი სამხედრო ოპერაციების დროს 7/8 აგვისტოდან 12 აგვისტომდე, დამატებითი დანაშაულებები მოხდა ცეცხლის შეწყვეტის ძალაში შესვლის შემდეგ, რაც სერიოზულ შემფოთებას იწვევს სიტუაციაზე კონტროლის მქონე ძალთა თანაპასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, რომელთა მოვალეობაშიც შედის მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა.

2008 წლის კონფლიქტისა და ცეცხლის შეწყვეტის შემდგომ კვირების განმავლობაში ჩადენილ დანაშაულებათა უმრავლესობა სამხრეთ ოსეთსა და მის მოსაზღვრე, ე.წ.

”ბუფერულ ზონაზე” მოდის. უფრო ნაკლები დანაშაულები იყო განცხადებული კოდორის ხეობის ზედა ნაწილსა და აფხაზეთში. თუმცა, აღნიშნული გამონაკლისი არ ეხება ეთნიკურ ქართველთა მდგომარეობას აფხაზეთის გალის რაიონსა და კოდორის ხეობის ზედა ნაწილში, სადაც მათ, როგორც უმცირესობათა უფლებებს, როგორც ჩანს, საფრთხე შეექმნა.

26.) რაც შეეხება კონფლიქტს სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორიებზე, მისიამ დაადგინა, რომ კონფლიქტის ყველა მხარემ - ქართულმა ძალებმა, რუსულმა ძალებმა და სამხრეთ ოსეთის ძალებმა - დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. მრავალი დანაშაული იყო ჩადენილი სამხრეთ ოსეთის არაფორმალური შეიარაღებული ჯგუფების, მოხალისეების, დაქირავებული მებრძოლებისა თუ

შეიარაღებული პირების მიერ. თუმცა, აღნიშნულ დანაშაულებების ჩამდენთა და მათზე პასუხისმგებელთა ვინაობის დადგენა რთულია. ის ფაქტი, რომ ორივე - ქართული და რუსული შეიარაღებული ძალები ხშირად იყენებდნენ იგივე სახის შეიარაღებას, კიდევ უფრო ართულებს კონკრეტულ დანაშაულებათა მიკუთვნებას. აღნიშნული დანაშაულებებიდან მრავალს აქვს მახასიათებლები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა მათი ჩათვლა სამხედრო დანაშაულებებად, რომ არა იდენტიფიცირებასა და მიკუთვნებასთან დაკავშირებული პრობლემები.

27.) რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის მიერ საქართველოს დადანაშაულება გენოციდში ერთ-ერთი ყველაზე სერიოზულ ბრალდებას წარმოადგენდა. აუცილებელი იყო აღნიშნული მტკიცების გადაუდებელი ანალიზი, იმ მძიმე უარყოფითი კონოტაციის გამო, რომელიც თვითონ ტერმინ "გენოციდი" გამოყენებამ განაპირობა საზოგადოებრივ აზრსა და შემეცნებაში; და ასევე მისი ერთობ სპეციფიკური სამართლებრივი განმარტებისა და სერიოზული შედეგების გამო, რასაც საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს. აღნიშნული კანონების კონტექსტში ფაქტების კიდევ ერთხელ გულდასმით განხილვის საფუძველზე მისია ადგენს, რომ მის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვერ იქნა მოძიებული ქართული მხარის მიერ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის კონტექსტში და მის შემდგომ წარმოებული გენოციდის შესახებ განცხადებების დამადასტურებელი არც ფაქტობრივი მტკიცებულება და არც კანონით გათვალისწინებული რაიმე პირობა. აღნიშნული დასკვნა ემყარება იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, გენოციდის შედეგის მისაღებად საჭიროა მტკიცებულებების არსებობა, რომელიც ადასტურებს გენოციდის დანაშაულებრივი ქმედების მიზანმიმართულ განზრახვის არსებობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ისეთი ზომების მიღება, როგორცაა საგანმანათლებლო და საზოგადოების ინფორმირებაზე ორიენტირებული ინიციატივების განხორციელება, რომ გენოციდის უსაფუძვლო ბრალდებებით არ მოხდეს სიტუაციის უფრო მეტად გამწვავება ან შურისძიებისკენ წაქეზება. რაც შეეხება განცხადებებს სამხრეთ ოსეთის ძალების ან არაფორმალური შეიარაღებული ჯგუფების მიერ განხორციელებული ეთნიკური წმენდის შესახებ, მისიამ გამოავლინა იმ ეთნიკურ ქართველთა იძულებითი გადაადგილების შემთხვევები, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების შემდეგაც საკუთარ სახლებში იმყოფებოდნენ. გარდა ამისა, არსებობს სამხრეთ ოსეთის მიერ ეთნიკური ქართული სოფლების სისტემატური მარცვისა და ნგრევის დამადასტურებელი მტკიცებულებები. შესაბამისად, რამდენიმე გარემოება იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ ეთნიკური წმენდა ნამდვილად განხორციელდა ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთში, როგორც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის განმავლობაში, ისე მის შემდგომ. ახლაც კი, წინამდებარე ანგარიშზე მუშაობის დროს, სამხრეთ ოსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ახალგორის

რაიონში სიტუაცია ისევ შემამფოთებელია, რადგან ეთნიკური ქართველები კვლავ ტოვებენ რაიონს.

28.) რაც შეეხება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებულ დებულებებს სამხედრო ოპერაციების განხორციელებისა და კონფლიქტის არა-მონაწილეთა დაცვის შესახებ, დარღვევები ამ თვალსაზრისით ძირითადად ეხება პირთა ცუდად მოპყრობას, ქონების განადგურებასა და იძულებით გადაადგილებას. უფრო კონკრეტულად, ჩადენილ იქნა შემდეგი სახის დანაშაულებრივი ქმედებები: განურჩეველი თავდასხმები, რაც განპირობებული იყო გამოყენებული იარაღის ტიპისა და სამიზნეობით; ის, რომ რუსეთისა და საქართველოს მიერ არ იქნა უზრუნველყოფილი [არა-მონაწილეთა] სათანადო დაცვა, რომ განხორციელდა ეთნიკური ქართული სოფლების ფართომასშტაბიანი ძარცვა და განადგურება სამხრეთ ოსების მიერ, ისევე როგორც ცუდად მოპყრობა, გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულებები, როგორცაა გაუპატიურება, თავდასხმა, გატაცება და არაკანონიერი დაპატიმრებები; რუსეთის ძალების მიერ [დანაშაულებრივ ქმედებად მიიჩნევა] სამხეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების, არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებებისა და შეიარაღებულ პირთა მიერ განხორციელებულ დანაშაულებათა პრევენციისა და აღკვეთის მიზნით სათანადო ზომების მიუღებლობა ცეცხლის შეწყვეტამდე და მის შემდგომ სამხრეთ ოსეთისა და მიმდებარე ტერიტორიაზე. სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დიდი რაოდენობა. 135 000 ადამიანი მიატოვა საკუთარი სახლ-კარი; მათი უმრავლესობა სამხრეთ ოსეთში და მის სიახლოვეს მყოფი რაიონებიდან იყო. ძირითადი ნაკადი საქართველოს ფარგლებში დარჩა, თუმცა, საკმაოდ დიდია იმ პირთა რაოდენობა, ვინც რუსეთს მიაშურა. მოსახლეობის უმრავლესობა გაიქცა კონფლიქტის ზონაში არსებული საფრთხისა და დაუცველობის გამო. თუმცა, ასევე მრავლად აღინიშნა იძულებით გადაადგილების შემთხვევა, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევას. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ 35 000-ზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირი/ლტოლვილი უახლოეს მომავალში დაუბრუნდება საკუთარ სახლ-კარს, საკუთრებისა და სახლების განადგურების, არსებული დაუცველობისა და უსაფრთხოების ნაკლებობის გამო. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ორივემ - სამხეთ ოსეთმა და აფხაზეთმა, რუსეთთან ერთად, უნდა მიიღოს სათანადო ზომები იძულებით გადაადგილებულ პირთა/ლტოლვილთა, 1990-იან წლებში გადაადგილებულთა ჩათვლით, უპირობო დასაბრუნებლად საკუთარ სახლებში, გარდა იმ პირობებისა, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი საერთაშორისო ნორმები; ხოლო საქართველომ პატივი უნდა სცეს დამოუკიდებელი ინდივიდუალური გადაწყვეტილების პრინციპზე დამყარებულ დაბრუნებას, რომლის შესახებაც გადაწყვეტილებას გადაადგილებული პირები იღებენ.

29.) გრადის ტიპის მრავალჯერადი გამშვები სარაკეტო სისტემები და კასეტური ტიპის იარაღი წარმოადგენს იარაღის ორ სახეობას, რომელიც განსაკუთრებით საშიშად არის მიჩნეული საომარ მოქმედებებში არა-მონაწილე პირებისათვის, მათი განურჩეველი სასიკვდილო მოქმედების გამო. რაც შეეხება კასეტური იარაღის გამოყენებას, საქართველომ აღიარა მათი გამოყენება მხოლოდ კონკრეტული სამხედრო მიზნებისათვის, ხოლო რუსეთის მტკიცებით, საქართველო ასევე იყენებდა მათ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. რუსეთმა უარყო კასეტური იარაღის გამოყენება, მიუხედავად რამდენიმე დამოუკიდებელი ანგარიშისა, რომელიც ამტკიცებდა მათ გამოყენებას, მათ შორის, კვლევითი კომისიისა, რომელიც ჩამოყალიბდა ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს გორში დაღუპული ჰოლანდიელი ჟურნალისტის სიკვდილის გარემოებების გამოსაძიებლად. მსგავსი წინააღმდეგობრიობა არსებობს გრადის ტიპის სარაკეტო სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებითაც. საქართველო ამტკიცებს, რომ გრადი გამოიყენებოდა მხოლოდ სამხედრო სამიზნეებთან მიმართებაში, როგორცაა სამხრეთ ოსეთის არტილერია ქალაქ ცხინვალის ერთ-ერთ უბანში. თუმცა, ეუთო-ს დამკვირვებლები და სხვა დამოუკიდებელი წყაროები ადასტურებენ, რომ 2008 წლის 7/8 აგვისტოს ადგილი ჰქონდა ცხინვალის მასირებულ დაბოვას, როგორც მრავალჯერადი გამშვები სარაკეტო სისტემების, ასევე არტილერიის გამოყენებით. ორგანიზაციებმა

”საერთაშორისო ამნისტიამ” და ”ჰიუმან რაიტს ვოჩმა” ასევე დაადასტურეს აღნიშნული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს მიერ ცხინვალზე იერიშის მიტანის დროს გამოყენებული იყო კლასტერული იარაღი ნებისმიერი მასშტაბით, ისევე როგორც გრადის ტიპის მრავალჯერადი გამშვები სარაკეტო სისტემები, რაც უტოლდება ქართული ძალების მიერ განურჩეველი იერიშის მიტანას, რაც გამოწვეულია მსგავსი სახის იარაღის შედეგების არაკონტროლირებადი ხასიათითა და მისი გამოყენებით დასახლებულ არეალში. ასევე არსებობს მინიშნებები, და შესაბამისად, შემფოთება იმის თაობაზე, რომ რუსეთის მიერ გამოყენებული იყო კასეტური იარაღი გორსა და შესაძლოა სხვა ადგილებში სამხედრო შეტევების განხორციელების დროს.

30.) არსებობდა თუ არა კონფლიქტის თავიდან არიდების გზები? სამშვიდობო ინიციატივები წლების განმავლობაში მიმდინარეობდა და ზოგჯერ იქმნებოდა გარემოებები, როცა კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის პერსპექტივა არც ისე შორის იყო, როგორც უწინ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ძალისხმევა წარუმატებელი აღმოჩნდა, ისინი მაინც წარმოადგენს გაკვეთილს ყველა მხარისათვის. ყველა ასეთი გეგმის ამოსავალი წერტილი ყოველთვის ის იყო, რომ კონფლიქტის მოგვარების ნებისმიერ შემთხვევაში, ეს მიიღწეოდა საქართველოს კონსტიტუციის რეფორმის გზით, რომელიც საგულისხმო ავტონომიას მიანიჭებდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ფედერალური საქართველოს შემადგენლობაში. ხსენებული ორი ერთეულის პოლიტიკური სტატუსის შესახებ მოლაპარაკებების დროს, მხარეებს ეძლეოდათ

ფედერალიზმის ვარიანტებს შორის არჩევანის თავისუფლება. საქართველოს მთავრობა იხრებოდა ე.წ. ასიმეტრიული ფედერალიზმისკენ, რომელშიც ერთი შემადგენელი სახელმწიფო უფრო მეტი უფლებებით ისარგებლებდა, ვიდრე დანარჩენები. აღნიშნული მოდელის მიხედვით, აფხაზეთი მიიღებდა უფრო მეტ ავტონომიას, ვიდრე სამხრეთ ოსეთი. თუმცა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხარეები უპირატესობას ანიჭებენ დამოუკიდებლობას უპირველეს ყოვლისა, ხოლო მისი მიუღწევლობის შემთხვევაში - კონფედერაციას. კონფედერაციული მოდელის მიხედვით, მათი სუვერენულობა უნდა აღიარებულიყო საერთაშორისო მასშტაბით, და ეს, მათი აზრით, მისცემდა მათ გამოყოფის უფლებას. სუსტი ფედერალური მთავრობისა და სუვერენული ძალაუფლების მქონე სხვა წევრი სახელმწიფოების კომბინაცია საქართველოს ხელისუფლებისთვის არ იყო მისაღები. ქართველები ასევე შიშობდნენ, რომ მაშინაც კი, თუ გამოყოფა დაუყოვნებლივ არ განხორციელდებოდა, შემადგენელი სახელმწიფოებისა და მათი ინტერესები, ან მათი შესაძლო საწუხარიც, გამოყენებულ იქნებოდა, როგორც ხელსაყრელი ბერკეტები გარეშე ძალის მიერ საქართველოს შინაგან საქმეებში ჩარევის მიზნით.

31.) რამდენიმე წლის განმავლობაში განხორციელებულ სამშვიდობო ძალისხმევას, მათ შორის, რომელიც განხორციელდა სამივე მხარისა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ, დადებითი გავლენა ჰქონდა რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობაზე. იყო დაახლოების, ნდობის განმტკიცებისა და ორმხრივი კავშირების აღდგენის პერიოდები ქართულ -აფხაზურ და ქართულ-ოსურ მხარეებს შორის. ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ მხარეებს შორის სიტუაციის ნორმალიზებისა და დამაბულობის შენელების პარალელურად მიმდინარეობდა მეორე პროცესი: აღნიშნულ ორ ტერიტორიასა და რუსეთის ფედერაციას შორის კავშირების თანდათანობითი განმტკიცების სახით. მეორე პროცესი, რომელიც 1999 წლის შემდეგ უფრო აშკარა გახდა, 2008 წლის გაზაფხულზე კიდევ უფრო დაჩქარდა და პირველზე უფრო ინტენსიური გამოჩნდა. რამდენჯერმე ქართველების მიერ "აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცოცავ ანექსიად" წოდებული ურთიერთობების განტკიცება კიდევ უფრო მეტ იმედგაცრუებას იწვევდა ქართველებში ჩიხში შესული სამშვიდობო პროცესისა და კონფლიქტის მოგვარების უშედეგო და გაწეილი პროცესის გამო.

32.) მესამე მხარის რეალური თუ წარმოდგენილი ინტერესების მიუხედავად, 1992 - 2006 წლებში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სამშვიდობო პროცესების ერთ-ერთი სუსტი მხარე იმაში მდგომარეობდა, რომ ქართული, აფხაზური და სამხრეთ ოსეთის მხარეები დიდ ყურადღებას უთმობდნენ გარეშე ფაქტორებს და მონაწილეებს, და ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას ურთიერთ-ნდობის განმტკიცებასა და შერიგების ხელშეწყობას. 2006 - 2008 წლებში საქართველომ ნამდვილად უფრო მეტი აქცენტი გააკეთა ორმხრივ თანამშრომლობასა და მოლაპარაკებებზე ცხინვალთან და სოხუმთან, თუმცა ის გზა,

რომელიც მათ აირჩიეს - მოსკოვის პოლიტიკური როლის შემცირება სამშვიდობო მოლაპარაკებებში და რუსული მშვიდობისმყოფელების როლის შემცირება ადგილზე - არ იყო მიმზიდველი აფხაზური და ოსური მხარეებისთვის, რომლებიც რუსეთის ფედერაციას საკუთარი უსაფრთხოების ძირითად გარანტად მიიჩნევდნენ. მეორე მხრივ, ძნელია კონსტრუქციულად ჩაითვალოს აფხაზური და ოსური მხარის მოთხოვნები აღნიშნულ პერიოდში საქართველოს მხრიდან გარანტიების მიღების თაობაზე, ძალის გამოუყენებლობისა და სხვა ცალმხრივი დათმობების შესახებ (ქართული ძალოვნების კოდორის ხეობის ზედა ნაწილიდან გაყვანა და ა.შ.), რომელიც სამშვიდობო პროცესების წინაპირობად იყო მიჩნეული, განსაკუთრებით, ზოგიერთი აფხაზი ლიდერის საჯარო მოწოდებების ფონზე, საქართველოს მიერ ადმინისტრირებულ კოდორის ხეობის ზედა ნაწილის ძალისმიერი დაკავების ("გათავისუფლების") შესახებ.

33.) რუსეთს, როგორც რეგიონთან ტრადიციულად მჭიდრო კავშირებისა და მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების ინტერესების მქონეს, მიენიჭა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სამშვიდობო პროცესების ხელშემწყობის და სამშვიდობო ძალების უზრუნველყოფის როლი. აღნიშნულმა ფორმულამ, რომელიც ერთი შეხედვით "რეალპოლიტიკის" პრინციპებს მისდევდა, სერიოზული ზიანი მიაყენა რეგიონის პოლიტიკურ ბალანსს. იგი პრაქტიკულად გულისხმობდა, რომ აღნიშნული ორი კონფლიქტისთვის საჭირო იყო არა მხოლოდ ქართველების, აფხაზებისა და ოსების შერიგება, არამედ რუსეთის ინტერესების დაკმაყოფილებაც. რეგიონში მზარდი დაძაბულობის ფონზე, განსაკუთრებით 2006 წელს, მოსკოვი ნათლად მიაჩნებდა, რომ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში საქართველოს მხრიდან სამხედრო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, იგი განზე არ დარჩებოდა. ბევრი ქართველის აზრით, რუსეთის პოლიტიკა, განსაკუთრებით 2004 წლიდან მოყოლებული - მათ შორის, კონფლიქტურ რეგიონებთან ურთიერთობების ფორმალიზება, მათ მოსახლეობაზე რუსული პასპორტების გაცემა და დეკლარაციები კოსოვოს პრეცედენტის გამოყენების თაობაზე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებასთან მიმართებაში - მიმართული იყო უფრო მეტად საკუთარი ინტერესების დაცვაზე, ვიდრე მიუკერძოებელი შუამავლის როლის შესრულებაზე. რუსული მშვიდობისმყოფელები ასევე აღიქმებოდნენ, როგორც დამცავი რგოლი, რომლის მიღმაც სეპარატისტული ერთეულები ცდილობდნენ საკუთარი ინსტიტუტების განვითარებას. ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუარესების ფონზე, უფრო ძნელი გახდა კომპრომისის მიღწევა არსებულ მონაწილეთა და მათ ინტერესთა სამკუთხედის დაბალანსების მიზნით. გაცილებით მეტი პოლიტიკური და სამხედრო წონის მქონე რუსეთმა გადაძლია თანაფარდობა, რაც სხვა შემთხვევაში შესაძლებელს, თუ არა საერთოდ საეჭვოს, გახდიდა თბილისსა და ორ სეპარატისტული რეგიონს შორის ურთიერთობების დარეგულირებას.

34.) რაც შეეხება ქართული მხარის ქმედებებს, 2006 წელს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ალტერნატიული ადმინისტრაციის ჩამოყალიბება ბევრის მიერ მიიჩნეოდა, როგორც თბილისის მიერ გადადგმული ყველაზე წინააღმდეგობრივი ნაბიჯი კონფლიქტის მოგვარების პროცესში. იგი შესაძლოა განპირობებული ყოფილიყო რამდენიმე გარემოებით. ერთ-ერთი შესაძლოა დაკავშირებული იყოს კოსოვოს გარშემო მიმდინარე წინააღმდეგობებსა და მოსკოვის გაფრთხილებებთან, რომ ის აღიარებდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს თუ კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარებულ იქნებოდა დასავლური ქვეყნების მიერ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის პრო-ქართული ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში ყოფნა, შესაძლოა მიჩნეული იყო საქართველოს მთავრობის მიერ, როგორც პრევენციული ზომა, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის მიერ ორი სეპარატისტული რეგიონის აღიარების გართულებას და აღნიშნული პერსპექტივის ნაკლებად რეალისტურად გადაქცევას. მეორე მოტივი შესაძლოა ყოფილიყო ალტერნატიული ადმინისტრაციების მაგალითების წარმოჩენა, რომელიც თბილისის გულუხვი მხარდაჭერით სარგებლობდნენ.

35.) საერთაშორისო კონტექსტი, რომელშიც აღნიშნული მოვლენები ვითარდებოდა კიდევ უფრო გართულდა კოსოვოს დამოუკიდებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებით, და ნატო-ს ბუქარესტის შეხვედრით 2008 წლის აპრილში, საქართველოს მომავალი ნატო-ს წევრობის დაპირებით, თუმცა დაუყოვნებელი მიღების მიზნით რაიმე კონკრეტული ნაბიჯის გადადგმის გარეშე. რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილებამ 1996 წელს დსთ-ს მიერ აფხაზეთზე შემოღებული შეზღუდვების გაუქმებისა (2008 წლის მარტი), და რამდენიმე სფეროში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის მხარეებთან პირდაპირი კავშირების დამყარების შესახებ (2008 წლის აპრილი), კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია ისედაც რთულ რეგიონში. საერთაშორისო საზოგადოების მიერ დროული და საკმარისად მტკიცე მოქმედების ნაკლებობამ, და გარკვეულწილად სამშვიდობო პროცესის არანოვატურულმა მიდგომამ ასევე შეუწყო ხელი კრიზისის გაღრმავებას. ამრიგად, ყველა მხარის მიერ დაშვებულ შეცდომათა, არასწორ ინტერპრეტაციათა/წარმოდგენათა და ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობათა მთელმა რიგმა, სიტუაცია იმ დონემდე დაძაბა, რომ ძალადობის აფეთქების საფრთხე რეალური გახდა. 1990-იან წლების მოვლენებისგან განსხვავებით, 2008 წლის აგვისტოს მოსალოდნელი მოვლენები უკვე აღარ იყო ლოკალიზებული კონფლიქტი მსოფლიოს შორეულ ნაწილში, არამედ მოკლე და მწვავე შეიარაღებული დაპირისპირება რუსეთსა და საქართველოს შორის, რომელიც გაიშალა როგორც ომის ველზე, ისე ტელევიზიის პირდაპირ ეთერში, რასაც სერიოზული საერთაშორისო შედეგები მოჰყვა.

36.) წინამდებარე ანგარიში ცხადყოფს, რომ კონფლიქტის წარმოშობის შესახებ გაკეთებული რაიმე სახის განმარტება ვერ იქნება კონცენტრირებული მხოლოდ

ცხინვალზე განხორციელებულ საარტილერიო შეტევაზე 7/8 აგვისტოს ღამეს, შემდგომში გადაზრდილ საქართველოს საექვო შეჭრაზე სამხრეთ ოსეთში და რუსეთის მხრიდან სამხედრო მოქმედებების განხორციელებაზე. შეფასებისას უნდა გათვალისწინებულ იქნას პროცესები, რომელიც მიმდინარეობდა წლების განმავლობაში ომამდე და თვეებისა და კვირების განმავლობაში, რომელიც წინ უძღოდა შეიარაღებულ დაპირისპირებას. ასევე საჭიროა, რომ მხედველობაში იქნას მიღებული წლების განმავლობაში მიმდინარე პროვოკაციების, ორმხრივი ბრალდებების, სამხედრო და პოლიტიკური მუქარისა და ორივე მხარეს განხორციელებული ძალადობის ფაქტები კონფლიქტის ზონაში და მის ფარგლებს გარეთ. ასევე გასათვალისწინებელია გავლენიან სახელმწიფოთა ძალდატანებითი პოლიტიკისა და დიპლომატიის გავლენა მცირე და დაუმორჩილებელ მეზობელზე, პატარა მეზობლის მიერ დიდი მეზობლის ძალაუფლების გადაწონვის სურვილი და გაცხარების მომენტში გადადგმული ნაბიჯები, საბოლოო შედეგის სათანადოდ გააზრების გარეშე; რომ არაფერი ვთქვათ მის შიშზე, რომ შესაძლოა სამუდამოდ დაკარგოს საკუთარი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი მცოცავი ანექსიის შედეგად. მწუხარებით აღვნიშნავთ, რომ შესამჩნევია საერთაშორისო სამართლის დადგენილი პრინციპების, როგორცაა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის მიმართ პატივისცემის რღვევა, ამასთანავე, ყველა მხარეთა მხარედი სურვილი აღიარონ ძალის გამოყენება მათი პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებად, და იმოქმედონ ცალმხრივად იმის ნაცვლად, რომ მიაღწიონ გადაწყვეტილებას მოლაპარაკებების გზით, მიუხედავად იმისა, თუ როგორი სირთულეებით აღსავსეც არ უნდა იყოს ის. და ბოლოს, ჩვენ ვხედავთ ადამიანური გაჭირვებისა და ტანჯვის დიდ კვალს შეიარაღებული მოქმედებების უკან. ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ყველაფერ იმაზე, რაც მოხდა? მთლიანობაში, კონფლიქტი განპირობებულია მიზეზთა სიმრავლით და დროისა და მოქმედებების მრავალშრიანობით. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია კონკრეტულ მნიშვნელოვან მოვლენათა და გადაწყვეტილებების ავტორობის დადგენა, შეუძლებელია კონფლიქტზე მთლიანი პასუხისმგებლობის დაკისრება რომელიმე ერთი მხარისათვის. წარუმატებლობა განიცადა ყველა მხარემ, და ყველას უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მის გამოსწორებაზე.

37.) და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონფლიქტში გამარჯვებული არ არსებობს. ყველამ წააგო, თუ სიცოცხლისა და ქონებრივი დანაკარგის მხრივ არა, იმედებისა და სამომავლო პერსპექტივების თვალსაზრისით მაინც. ადგილზე მიღებული ზარალის გარდა, პოლიტიკური სიტუაციაც უფრო რთულია, ვიდრე ოდესმე. ეს ეხება არა მარტო ურთიერთობებს თბილისსა და სოხუმს, არამედ თბილისსა და ცხინვალს შორისაც, სადაც 2008 წლის კონფლიქტმა ვერ მოაგვარა ვერც ერთი წინააღმდეგობრივი საკითხი. სიტუაცია კონფლიქტის რეგიონში ისევ დამაბულია. ნებისმიერ ინციდენტს შეუძლია გამოიწვიოს მძიმე შედეგები. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები გაუარესებულია,

როგორც არასდროს. გარდა ცალკეულ ადამიანთა პიროვნული ტრაგედიისა და კონფლიქტის შედეგად გამოწვეული მძიმე შედეგებისა რეგიონში, საერთაშორისო საზოგადოებაც წაგებულთა რიგშია. მარცხი განიცადა თანამშრომლობის პოლიტიკურმა კულტურამ, რომელიც ევროპაში 1970-იან წლებში განვითარდა და განმტკიცდა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის/ეუთოს ისტორიულ დოკუმენტებში, როგორცაა 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტი და სტამბულის 1999 წლის ევროპული უსაფრთხოების ქარტია, და სხვა დოკუმენტები, რომელიც მიღებულ იქნა ევროსაბჭოს ფარგლებში. ევროპულ პოლიტიკაში დაბრუნდა ძალის გამოყენება და [მისი გამოყენების] მუქარა. იგნორირებულ იქნა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, როგორცაა სახელმწიფოთა სუვერენტიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა. პოლიტიკურ რეალობაში თავი იჩინა საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის ისეთმა დარღვევებმა, როგორცაა ეთნიკური წმენდა. უკუსვლა პოლიტიკური ურთიერთობების ცივილიზებული ნორმებიდან ევროპის პოლიტიკური ურთიერთობების სფეროში ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ შედეგს. გარდა ამისა, დაზარალდა ურთიერთობები დასავლურ ქვეყნებსა და რუსეთს შორის. გაჩნდა ბზარი, რომელიც მოითხოვს თანამშრომლობას ყველას მხრიდან, რათა თავიდან იყოს აცილებული მისი გაღრმავება იმის გათვალისწინებით, რომ კონფლიქტი საქართველოში გამოირჩევა გავლენიან ძალთა [სახელმწიფოთა] პირდაპირი ჩარევის უფრო მეტი ხარისხით, ვიდრე ნებისმიერი სხვა მოუგვარებელი კონფლიქტი. რამდენადაც გრძელდება ადამიანთა სიდუხჭირე და პოლიტიკური არასტაბილურობა, კონფლიქტები საქართველოში მოითხოვს გადაუდებელ ძალისხმევას მოლაპარაკებისა და მშვიდობიანი გზით მათი მოგვარებისთვის, რაც საბოლოოდ მოუტანს მშვიდობას რეგიონს, რომელმაც ასეთი დიდი ტრაგედია გადაიტანა.

ფაქტების შესწავლის შედეგები

1.) კონფლიქტი საქართველოში კვლავ რჩება საფრთხედ კავკასიაში და იწვევს დესტაბილიზაციის შესაძლებლობას რეგიონსა და მის საზღვრებს გარეთ. აღნიშნული კონფლიქტის ფარგლებში არსებობს სამი სხვასხვა, მაგრამ ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული შემდეგი დონე:

- მოუგვარებელი ურთიერთობები საქართველოს ხელისუფლებასა და ქვეყნის საზღვრებში მცხოვრებ უმცირესობებს შორის;
- დამაბული და გაურკვეველი დამოკიდებულება საქართველოსა და მის ძლიერ ჩრდილოელ მეზობელს – რუსეთის ფედერაციას შორის;
- იმ მთავარი, რეგიონის შიგნით და მის გარეთ მყოფი საერთაშორისო მოთამაშეების გეოსტრატეგიული ინტერესები, რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს პოლიტიკაში, ენერგომატარებლებსა და სხვა სტრატეგიულ აქტივებზე გავლენის მოსაპოვებლად.

არცერთ ზემოაღნიშნულ საკითხს თავისი გავლენა და მნიშვნელობა არ დაუკარგავს 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტიდან დღემდე.

სწორედ ამიტომ, კონფლიქტის უკეთ პრევენციისა და მისი მართვისაკენ მიმართული ძალისხმევის დროს უნდა გავითვალისწინოთ საქართველოში არსებული მდგომარეობის სირთულე, მისი სხვადასხვა დონეები და დინამიკა. ნებისმიერი, შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს სამივე დონე.

2.) 2003 და შემდეგ უკვე 2007 წლებში კონფლიქტურ რეგიონებში განვითარდა საფრთხის შემცველი მოვლენების მთელი ჯაჭვი. უფრო მეტიც, იგივე ხდებოდა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტისწინა კვირების განმავლობაშიც. მიუხედავად 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე სულ ცოტა ხნით ადრე, გერმანიისა და სხვა ქვეყნების მიერ განხორციელებული გარკვეული პოლიტიკური ინიციატივებისა და მიუხედავად საერთაშორისო დონეზე საგარეო პოლიტიკაში გადაწყვეტილებების მიმღები ისეთი პირების ვიზიტებისა, როგორებიცაა ჰავერ სოლანა და კონდოლიზა რაისი, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან არ მომხდარა დროული, ადეკვატური და ენერგიული რეაგირება, რომელიც შეაჩერებდა მზარდ დამაბულობას და შეიარაღებული კონფლიქტის საფრთხეს. მიუხედავად დაგვიანებული საერთაშორისო

დიპლომატიური ძალისხმევით, კრიზისი თითქმის მთლიანად აღმოჩნდა თავის ნებაზე მიშვებული.

საჭიროა უფრო დროული და გადამწყვეტი ძალიხმევის განხორციელება კრიზისული სიტუაციის დაწყებით სტადიაზე გაკონტროლების მიზნით. ასეთ სიტუაციებში საჭიროა საერთაშორისო საზოგადოების და, განსაკუთრებით, გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს, რეგიონული და რეგიონის საზღვრებს გარეთ მყოფი მნიშვნელოვანი და სერიოზული მოთამაშეების უფრო მეტად აქტიური ჩაბმა.

3.) ასევე, აშკარად გამოიკვეთა, რომ სიტუაციის სტაბილიზაციისკენ და დარეგულირებისკენ მოწოდებული სქემების/შეთანხმებების და ისეთი ორგანიზაციების, როგორებიცაა ერთობლივი სამშვიდობო ძალები (JPKF), ერთობლივი საკონტროლო კომისია (JCC) და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE) არსებობა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის შემთვევაში, ისევე როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების (CIS PKF) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისია საქართველოში (UNOMIG) აფხაზეთის კონფლიქტის შემთვევაში, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო საზოგადოების დახმარების გზით 1990-იანი წლების ადრეულ პერიოდში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, მოუმზადებლები აღმოჩნდნენ როგორც პოლიტიკურ, ასე სამხედრო სფეროში ახალი და უფრო დიდი საფრთხის შემცველი მოვლენების განვითარებისთვის. მზარდმა ზეწოლამ მხარეების მხრიდან და ცვალებადმა საერთაშორისო სიტუაციამ არსებულ სამშვიდობო მექანიზმებს გამოაცალა სიტუაციის კონტროლის მექანიზმები და არ იმუშავა, როცა მოვლენათა განვითარებამ კრიტიკულ წერტილს მიაღწია.

იმდენად, რამდენადაც საჭიროებანი ადგილზე შესაძლოა შეიცვალოს მოვლენების ახლებურ განვითარებასთან ერთად, საერთაშორისო საზოგადოება მზად უნდა აღმოჩნდეს სტაბილიზაციისკენ მიმართული იმ სქემებისა და ინსტიტუტების გადაფასების, კორექტირებისა და გაძლიერებისათვის, რომლებიც კრიზისის წარმოშობის ან მისი განვითარებისთანავე იქმნება.

4.) ასევე, სრულიად ნათლად გამოიკვეთა, რომ მონიტორინგის, სამშვიდობო და სტაბილიზაციისკენ მიმართული სხვა ორგანიზაციებისა და სქემების ეფექტიანობა დიდწილად არის დამოკიდებული კონფლიქტის მონაწილე მხარეების მხრიდან მათ მიმართ არსებულ ნდობასა და რწმენაზე. ხშირ შემთხვევაში, ასეთი ნდობა და დამოკიდებულება პირდაპირ არის დაკავშირებული მიუკერძოებლობასთან, რომელსაც მხარეები მათგან მოითხოვენ. ზემოაღნიშნული კი პირდაპირ უკავშირდება მათი წარმოშობის ქვეყანას, ანუ რომელ ქვეყანას წარმოადგენენ ისინი, ან იმ ქვეყანას,

რომელიც აღქმულია, როგორც სიტუაციის მაკონტროლებელი. ეს გახლავთ სქემა, რომლითაც განისაზღვრება, არსებობს თუ არა მიკერძოება სინამდვილეში.

კონფლიქტის მონაწილე არც-ერთი მხარე, ან მხარე, რომელიც ითვლება, რომ სერიოზულად უჭერს მხარს რომელიმე მხარეს, არ უნდა იღებდეს საკუთარ თავზე ხელმძღვანელის, თავმჯდომარის ან არბიტრის თანამდებობას და არ უნდა ახორციელებდეს არანაირ კონტროლს ოპერაციაზე, რომელიც ითვლება, რომ უნდა იყოს მიუკერძოებელი და სამართლიანი იმისათვის, რომ იყოს ეფექტიანი.

5.) 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე ჩვენთვის გამოიკვეთა რეგიონში ისეთი პერიოდი, როცა გამოიყენებოდა სულ უფრო და უფრო მეტად აგრესიული გამონათქვამები და აშკარა იყო ემოციების გამმაფრებაც. ზოგ შემთხვევაში ფიგურურებდა მილიტარისტული ხასიათის საჯარო გამონათქვამები და ცოტა რამ თუ კეთდებოდა სულ უფრო და უფრო მტრული, რომ არაფერი ვთქვათ, ქსენოფობური დამოკიდებულების გაკონტროლების მიზნით, რომელიც მიმართული იყო იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე მეორე მხარესთან იყვნენ დაკავშირებულნი. საჯარო განცხადებებში სულ უფრო აშკარად და ხშირად გაისმოდა ძალის გამოყენების მუქარა. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი მდგომარეობა წლების განმავლობაში გრძელდებოდა, მტრული განწყობის და ზოგჯერ ქმედებების გამწვავება შეინიშნებოდა როგორც სახელისუფლებო, ისე არასახელისუფლებო წრეებში კონფლიქტის დაწყებამდე და მისი მწვავე, ძალადობრივი განვითარების პერიოდში.

კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარეს მოვუწოდებთ, განახორციელონ მკაცრი კონტროლი ქსენოფობურ და მტრულ დამოკიდებულებასა და ქმედებებზე მოქალაქეების, ქონების და მეორე მხარის ყველა მნიშვნელოვანი ფასეულობის წინააღმდეგ; ასევე, გამოიყენონ ყველა ძალისხმევა საგანმანათლებლო ინსტიტუტებისა და მედიის საშუალებით, რათა მოხდეს ყველა მონაწილე მხარის შესახებ დაბალანსებული და სამართლიანი აზრის, ისტორიისა და ქმედებების დაფიქსირება. ძალის გამოყენების მუქარის აკრძალვას, როგორც ეს განსაზღვრულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიაში, მკაცრად უნდა დაემორჩილოს ყველა მხარე.

6.) რაც შეეხება კონფლიქტურ ტერიტორიაზე საერთაშორისო ძალების არსებობას, ჩვენ გავხდით ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტების დემონტაჟის მოწმენი, როგორებიცაა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისია საქართველოში. "გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეგობრების" დახურვა კონფლიქტის კიდევ ერთი შედეგი გახლდათ. ასევე, შეწყვიტეს არსებობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებმა, ერთობლივმა სამშვიდობო

ძალებმა და ერთობლივმა საკონტროლო კომისიამ. ევროგაერთიანების მონიტორინგის მისიამ პირველად მიიღო გადაწყვეტილება ევროპის წარმომადგენლების გაგზავნის შესახებ რეგიონში, მაგრამ ისინი არ იქნენ დაშვებულნი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.

ჯერ-ჯერობით არ არსებობს იმ საერთაშორისო ძალების ადეკვატური შემცვლელი, რომლებმაც დატოვეს კონფლიქტის ტერიტორია. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ისეთ მთავარ ძალებს, როგორებიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისია საქართველოში და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია. მანამ, სანამ ევროგაერთიანების მონიტორინგის მისია გააგრძელებს საკუთარი მოვალეობების შესრულებას, შემდგომი ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული ისეთი დამოუკიდებელი, ნეიტრალური და ეფექტიანი საერთაშორისო ძალების კონფლიქტურ რეგიონში შეყვანისათვის, რომლებიც სამშვიდობო ფუნქციებს კონფლიქტურ ზონაში განახორციელებენ.

7.) საქართველოში 2008 წლის კონფლიქტის დროს, პრევენციულმა დიპლომატიამ და კონფლიქტების საერთაშორისო მართვამ ვერ მიაღწია შედეგებს ნაწილობრივ იმის გამო, რომ ეტაპობრივად ხდებოდა მხარეებს შორის ადრე მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული პარამეტრებისა და საერთაშორისო ვალდებულებების უგულებელყოფა და საერთაშორისო ვალდებულებების არასათანადო შეფასება და იგნორირებაც კი. ამ პოლიტიკურ ვალდებულებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი არის ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტი, 1990 წლის პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის და 1999 წლის ევროპის უსაფრთხოების ქარტია, რომელიც მიღებული იქნა სტამბულში. დაძაბულობის ესკალაციის მთელი პერიოდის განმავლობაში, რომლის კულმინაციაც 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტი გახდა, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ვალდებულებები არართგზის და სულ უფრო მეტად იქნა უგულებელყოფილი, როგორც ფორმით, ისე არსობრივად.

დაუშვებელია იმასთან შეგუება, რომ ევროპაში და ევროპის მიზნებისათვის ბზარი გაუჩნდეს საერთაშორისო ურთიერთობებში თანამშრომლობის პოლიტიკურ კულტურას, რომელიც პირველად ჩამოყალიბდა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციაზე, ხოლო შემდომ განვითარდა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ. უნდა გამოვიყენოთ ყველა ძალისხმევა იმისათვის, რომ ახალი დატვირთვით გავაცნობიეროთ მისი მნიშვნელობა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის მიზნებისათვის და დავუბრუნდეთ მის ზუსტ განხორციელებასა და მისი პრინციპების დამორჩილებას.

8.) 2008 წლის ზაფხულში საქართველოში განვითარებულმა კონფლიქტმა გამოაშკარავა ზოგიერთი პოლიტიკური მოთამაშის ტენდენციები, რაც გამოიხატა საერთაშორისო სამართლის ისეთი საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისგან დაშორებაში, როგორცაა ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა. კონფლიქტს ასევე თან ახლდა სუვერენიტეტის პრინციპთან დაკავშირებული გაურკვეველი, ორაზროვანი გამონათქვამები, რომ აღარაფერი ვთქვათ დარღვევებზე. ასევე, გამოიკვეთა ქვეყნებს შორის მრავალმხრივი ურთიერთობების პრინციპებისგან და მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შედეგებისგან და გადაწყვეტილებებისგან განდგომის ტენდენცია და ცალმხრივ ქმედებებზე გადასვლა. ზოგიერთი პოლიტიკური მოთამაშის მხრიდან არსებობდა პოლიტიკური მიზნების მიღწევის მიზნით ძალის გამოყენების მუდმივი მზადყოფნა; ნაკლები ფიქრი და დრო დაეთმო ზრუნვას კონფლიქტის პრევენციაზე.

უნდა გაგრძელდეს საერთაშორისო სამართლის ყველა პრინციპის პატივისცემა და დაცვა. შეურიგებელი უნდა ვიყოთ ისეთი ტენდენციების მიმართ, რომლებიც მიმართულია ამ პრინციპების შესუსტების ან ზოგიერთი მათგანის შერჩევითი განხორციელებისკენ, როგორცაა, მაგალითად ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ძალის არგამოყენების პრინციპის დაცვას. ამასთანავე, ყურადღება უნდა დაეთმოს ძალის გამოყენების მუქარის წინააღმდეგ შეურიგებლობის პრინციპის დაცვას. პატივი უნდა ვცეთ, უპირატესობა მივანიჭოთ და განვახორციელოთ მრავალმხრივი და მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული გადაწყვეტილებები და არა ერთმხრივი ქმედებები. კონფლიქტის პრევენცია უნდა დარჩეს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად.

9.) დესტაბილიზაციის შედეგები შესაძლოა ასევე დადგეს ქვეყნის მიერ საკუთარი პოლიტიკური მიზნების განხორციელების დაჟინებული მონდომებისგან ისეთ საგარეო პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობები. ეს შესაძლოა მოხდეს, ვინაიდან ასეთი საგარეო პოლიტიკა გამიზნულია მცირე ზომის ქვეყნებისათვის თავისუფალი არჩევანის წართმევისა და სუვერენიტეტის შეზღუდვისაკენ.

პოლიტიკური კონცეფციები და ცნებები, როგორცაა ინტერესთა პრივილეგირებული სფეროები ან სხვა მიზეზის დასახელება სხვა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო საქმეებში ჩარევის უფლების მოსაპოვებლად, შეუთავსებელია საერთაშორისო სამართალთან. ასეთი მიდგომები საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და სტაბილურობას და შეუთავსებელია ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის პრინციპებთან. ასეთი კონცეფციები და ცნებები უნდა იყოს უარყოფილი.

10.) 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი საქართველოში წარმოადგენს, ერთი მხრივ, საქართველოსა და რუსეთს შორის სახელმწიფოთაშორის კონფლიქტს, და მეორე მხრივ, შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტის ერთობლიობას. ასეთი კონფლიქტის დროს ხორცილდება სამხედრო მოქმედებები რეგულარულ შეიარაღებულ ძალებს, ნაკლებად მკაცრად კონტროლირებად პოლიციურ ძალებსა და არარეგულარულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორისაც კი. ასეთი ტიპის სიტუაციები არის განსაკუთრებით მიდრეკილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ კანონის დარღვევისაკენ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მშვიდობიანი მოსახლეობის რეგულარული ძალების მიერ დაცვის პასუხისმგებლობას სიტუაციის ეფექტური გაკონტროლების გზით. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს რეგულარულმა ძალებმა, ხშირ შემთხვევაში, ვერ შეასრულეს თავისი პასუხისმგებლობა, რაც უნდა გამოხატულიყო მშვიდობიანი მოსახლეობის სათანადო დაცვაში პოლიციისა და არაფორმალური შეიარაღებული ძალების მიერ განხორციელებული სასტიკი ქმედებებისაგან.

ნებისმიერი ომის დროს, რომელიც შეიცავს სახელმწიფოთაშორის და შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტებს, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას რეგულარული შეიარაღებული ძალების მიერ. მათ უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები და გაეწიონ ინსტრუქციები, რომლებიც გაზრდის მათ მიერ პასუხისმგებლობის გაცნობიერების დონეს არა მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ არ ჩაიდინონ სასტიკი ქმედებები, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების შესახებ სამართლის პრინციპების დაცვის მიმართულებითაც, როცა ამ პრინციპების დარღვევა ხდება პოლიციისა და არაფორმალური შეიარაღებული ძალების მიერ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გაუპატიურების და სხვა გენდერული დანაშაულებების წინააღმდეგ ეფექტიან დაცვას.

11.) შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის მიწოდება, ისევე როგორც სამხედრო წვრთნის ჩატარება კონფლიქტურ რეგიონებში იყო და რჩება მნიშვნელოვან საკითხად. სამხედრო დახმარება, მაშინაც კი, როცა იგი ხორციელდება საერთაშორისო სამართლის ან არასავალდებულო პოლიტიკური მზადყოფნის/დახმარების ფარგლებში, უნდა დარჩეს საღი აზრის და სათანადო სიფრთხილის და კონტროლის ფარგლებში, რადგან გასათვალისწინებელია მიწოდებული იარაღის და ტექნიკის როგორც განზრახ, ასე განუზრახველი გამოყენება.

მათ მიერ, ვინც ახორციელებს სამხედრო დახმარების მიწოდებას, მაქსიმალური ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ თავი შეიკავონ, თუნდაც განუზრახველი და

არაპირდაპირი დახმარება გაუწიონ ისეთ ქმედებებს ან მოვლენათა განვითარებას, რომლებიც დამანგრეველია რეგიონისათვის.

12.) და ბოლოს, აღვნიშნავთ, რომ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ, კონფლიქტური სიტუაცია რეგიონში არ გაუმჯობესებულა. კონფლიქტის მოგვარებისათვის საჭირო გარემო, რეალურად კიდევ უფრო გაართულდა კონფლიქტის მონაწილე ერთი მხარის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებით. იკვეთება მუდმივი დამაბულობა კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის, რაც ხშირ შემთხვევაში სამხედრო დაპირისპირების ზღვარს უახლოვდება. მხარეებს შორის პოლიტიკური შეთანხმებები მწირია და არსობრივად ძალზე შეზღუდული. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ საფრთხის შემცველი ინცინდენტების მნიშვნელოვანი რაოდენობა მოხდა. ზოგი მათგანი შესაძლოა გადაზრდილიყო უფრო ფართო დაპირისპირებაში. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარე ხაზს უსვამს მშვიდობიანი მომავლისათვის საკუთარ მხარდაჭერას, ახალი დაპირისპირების რისკი ჯერ კიდევ მაღალია.

საერთაშორისო საზოგადოება, ისევე როგორც აღნიშნულ კონფლიქტში ჩაბმული სხვა რეგიონის საზღვრებში და რეგიონის გარეთ არსებული მოთამაშეები აგრძელებენ ყველა შესაძლო ძალისხმევას განხორციელებას იმისათვის, რომ დასვან მხარეები მოლაპარაკების მაგიდასთან და ხელი შეუწყონ მათ იმ სქემების შემუშავებაში, რაც შესაბამისობაში იქნება გაერთიანებული ერების წესდებასთან, ჰელსინკის ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის საბოლოო ხელშეკრულებასთან და ევროსაბჭოს შესაბამის დოკუმენტებთან იმისათვის, რომ მოხდეს მათი განსხვავებული პოზიციების დაახლოვება და განმეორებითი სამხედრო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობების პრევენცია. ამგვარი მოლაპარაკებების წარმატებულ შედეგებს შეუძლია დიდად შეუწყოს ხელი დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას. მიუხედავად ამისა, იმედი იმისა, რომ კონფლიქტურ რეგიონში მშვიდობა დაისადგურებს მანამ, სანამ ორი მთავარი მოწინააღმდეგე, რუსეთი და საქართველო, არ გამოიჩენენ ორმხრივ ძალისხმევას ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად, ძალზედ მცირეა. ეს დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს.

შენიშვნა: საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართლთან და ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ სამართალთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ტომი 2, თავი 7: "საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებები".

მადლობის გამოხატვა

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს სხვადასხვა ექსპერტის, კონსულტანტის, უფროს მრჩეველთა საბჭოს და პატარა, ძირითადი სამუშაო ჯგუფის ცხრათვიანი ძალისხმევის შედეგს. ყველა ზემოაღნიშნული პირი მუშაობდა თავდაუზოგავად. მათ უწევდათ გარკვევა უზარმაზარ და ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციაში, რათა მოემზადებინათ და წარმოედგინათ საქართველოში 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შეძლებისდაგვარად ზუსტი, მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური ანალიზი.

აღნიშნული სამუშაოს განხორციელება და წინამდებარე დოკუმენტის შედგენა შეუძლებელი იქნებოდა სხვადასხვა ქვეყნის მთავრობის, ორგანიზაციისა და პიროვნებების მიერ გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე. მსურს, მადლობა გადავუხადო მათ და გამოვხატო ჩემი პატივისცემა მათი მეტად მნიშვნელოვანი და მართალც რომ აუცილებელი და საჭირო წვლილის მიმართ.

განსაკუთრებით მსურს აღვნიშნო ის მეტად სასარგებლო თანამშრომლობა, რომელსაც მისია მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში იღებდა კონფლიქტთან დაკავშირებული ოთხივე მხარისაგან. ესენია: საქართველო, რუსეთის ფედერაცია, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი. ჩვენ განსაკუთრებით აქტიური მხარდაჭერა მივიღეთ რამდენიმე ქვეყნის მთავრობისაგან, როგორებიცაა საფრანგეთი, გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები და უკრაინა, რომლებმაც მოგვაწოდეს მნიშვნელოვანი, სიღრმისეული მოსაზრებანი და/ან მასალა. მისია ასევე, პატივისცემით აღნიშნავს შვეიცარიის წვლილს, რომელიც მრავალმხრივ დახმარებას გვიწევდა, და არანაკლები მხარდაჭერა გამოიჩინა საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებით დამოუკიდებელი, საერთაშორისო, ფაქტების შემსწავლელი მისიისათვის სპეციალური მისიის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, რასაც მოჰყვა მსგავსი სტატუსის განსაზღვრა საქართველოსა და რუსეთის მხრიდან. გარდა ამისა, ევროკავშირის ყველა ქვეყანას და რეგიონის მეზობელ ქვეყნებს (აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი) საშუალება ჰქონდათ მოეწოდებინათ მისიისათვის 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტთან დაკავშირებული სათანადო ინფორმაცია და მასალები. მისია მადლიერების გრძნობით აღნიშნავს იმ დახმარებას, რომელიც მას გაუწიეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოებმა და შვეიცარიამ, განსაკუთრებით ნიუ-იორკში, ვაშინგტონსა და თბილისში, ასევე დახმარებას, რომელიც მისიას გაუწია ევროკავშირის კომისიის დელეგაციებმა, განსაკუთრებით კი მოსკოვსა და ნიუ-იორკში. ამას ემატება აზრთა რეგულარული გაცვლა-გამოცვლა ევროკავშირის საბჭოს სამდივნოს წარმომადგენლებთან და მრავალჯერადი კონტაქტები ევროკავშირის კომისიის ოფიციალურ პირებთან.

ასევე, დავუკავშირდით ისეთ ორგანიზაციებს, როგორებიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი და გაერთიანებული ერების ადამიანთა უფლებების დაცვის უმაღლესი კომისრის სამსახური, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი და ევროსაბჭო, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მისიის მუშაობაში. იგივე ითქმის იმ დახმარებასა და მხარდაჭერაზე, რომელიც მისიამ მიიღო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისაგან, როგორებიცაა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი და სხვა ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები, როგორიცაა "საერთაშორისო ამნისტია", "საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი" და "ჰიუმან რაიტს ვოჩი".

დაბოლოს, მაგრამ არანაკლებად, მისიის მუშაობა არსებითად იყო დამოკიდებული მისი წევრებისა და პარტნიორების მუშაობაზე.

მისიას ჰქონდა პრივილეგია, მოეთხოვა მითითებები და ინსტრუქციები ან რჩევები ყველასათვის პატივსაცემი პოლიტიკოსებისა და უფროსი საჯარო მოხელეებისაგან, რომლებსაც აქვთ ექსპერტული ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობებში, კონფლიქტის მართვაში, ჰუმანიტარულ და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებულ საკითებზე. 2009 წლის აგვისტოში, როცა იწერებოდა წინამდებარე დოკუმენტი, უფროს მრჩეველთა საბჭო შედგებოდა შემდეგი წევრებისაგან:

უფროს მრჩეველთა საბჭოს წევრები:

ბატონი ჟან-მარ გუენო

ბრუკინგსის ინსტიტუტის და საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის მოადგილე და გაერთიანებული ერების სამშვიდობო ოპერაციების განყოფილების უფროსი 2008 წლამდე, საფრანგეთი

დოქტორი ურსულა პლასნიკი

პარლამენტის წევრი

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი 2008 წლამდე, ავსტრია

პროფესორი ადამ დ. როტფელდი

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი 2005 წლამდე, პოლონეთი

ბატონი სამუელ შმიდი

თავდაცვის ყოფილი მინისტრი 2008 წლამდე, შვეიცარია

დოქტორი კორნელიო სომარუგა

ჰუმანიტარული განაღმვის ჟენევის საერთაშორისო ცენტრის საპატიო თავმჯდომარე,
წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი 1999 წლამდე,
შვეიცარია

ბატონი კარსტენ დ. ვოიტი

გერმანულ-ამერიკული ურთიერთობების კოორდინატორი
პარლამენტის ყოფილი წევრი, გერმანია

მისიის მუშაობას აძლიერებდა დაახლოებით ცხრამეტი (19) ექსპერტისაგან შემდგარი
ჯგუფი, სამართლის სპეციალისტების, სამხედრო ექსპერტების, პოლიტოლოგებისა და
ისტორიკოსების ჩათვლით, რომელთაც შეადგინეს წერილობითი სახის დოკუმენტები
საკუთარ სფეროებსა და პროფესიული გამოცდილების საკითებში. ჩვენ გულწრფელ
მადლობას ვუხდით მათ გაწეული მუშაობისათვის. წინამდებარე დოკუმენტის შედგენის
დროს ეს ექსპერტები იყვნენ:

სამხედრო ექსპერტები:

გადამდგარი გენერალი ჟილ გალეტი, საფრანგეთი

გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი კრისტოფ კეკისი, შვეიცარია

გადამდგარი პოლკოვნიკი კრისტოფერ ლანგტონი, გაერთიანებული სამეფო

სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი ვოლფგანგ რიხტერი, გერმანია

გადამდგარი საჰაერო ძალების გენერალი ფილიპ უილკინსონი, გაერთიანებული სამეფო

სამართლის ექსპერტები:

დოქტორი ტეო ბეატრუჩე, საფრანგეთი

ბატონი რენე კოზირნიკი, შვეიცარია

პროფესორი ოტო ლუხტერჰანდტი, გერმანია

პროფესორი ანგელიკა ნუსბერგერი, გერმანია

პროფესორი ანა პეტერსი, გერმანია

დოქტორი ნიკოლას სტიურჰლერი, შვეიცარია

ისტორიკოსები:

ბატონი ვოიჩიჩ გორევი, პოლონეთი

დოქტორი უვე ჰალბახი, გერმანია

პროფესორი ლუიჯი მაგაროტი, იტალია

პოლიტოლოგები:

პროფესორი ბრუნო კოპიეტერსი, ბელგია

მის სელინ ფრანსისი, ბელგია

დოქტორი იორგ ჰიმელრეიჰი, გერმანია

ბატონი დენის სამუტი, გაერთიანებული სამეფო

დოქტორი მარიან სტაჟევსკი, პოლონეთი

ჩემი გულწრფელი მადლობა ეძღვნება დოქტორ ბარბარა ჰერინგს, ჰუმანიტარული განაღმვის ჟენევის საერთაშორისო ცენტრის თამჯდომარეს და შვეიცარიის პარლამენტის უსაფრთხოების კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს, მისი ჩვენს მიმართ გაწეული მუდმივი მხარდაჭერისა და მოწოდებული რჩევებისათვის.

მსურს გამოვხატო ჩემი გულწრფელი მადლობა სამუშაო ჯგუფის მიმართ, რომელიც სრული დატვირთვით მუშაობდა დაკისრებული მოვალეობის დროული დასრულების მიზნით. მართლაც, წინამდებარე დოკუმენტის შედგენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ასეთი თავდადებული და მდიდარი წარმოსახვის მქონე, უსაზღვრო მოთმინებისა და ნებისმიერი რთული სიტუაციიდან გამოსავლის მაძიებელი და მიმგნები ადამიანებისაგან შემდგარ ჯგუფთან ერთად მუშაობის შედეგად. ჩემი გულთბილი მადლობა ეძღვნება ოფისის და ღონისძიებების მენეჯერს, ლინა როდრიგესს, დიპლომატიურ მრჩეველს, ადრიან შნაიდერს და ფინანსურ მენეჯერს, კრის ბარტონს.

დაბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი: ჩემს უღრმეს პატივისცემას და მადლობას გამოვთქვამ შიდა, ყველაზე მნიშვნელოვანი გუნდის მიმართ, რომელიც შედგებოდა გადამდგარი ელჩის, მისიის დროებითი ხელმძღვანელის, უვე შრამისა და დოქტორ მარიან სტაჟევსკისაგან, მისიის ხელმძღვანელის მოადგილე. მათი გამოცდილება, რეგიონის ყოველმხრივი და სრულყოფილი ცოდნა და ყველა სფეროში გაწეული წვლილი ფასდაუდებელია იმ მანდატის წარმატებით დასრულებაში, რომელიც მისიას დაეკისრა.

ჰაიდი ტალიავინი

ელჩი

მისიის ხელმძღვანელი

მისიის ძირითადი შეხვედრებისა და ვიზიტების ჩამონათვალი:

- 2008 წლის 2 დეკემბერი, ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილება
- 2008 წლის 8-11 დეკემბერი, შეხვედრები მოსკოვში
- 2008 წლის 16-18 დეკემბერი, შეხვედრები თბილისში
- 2008 წლის 18/19 დეკემბერი, შეხვედრები ბრიუსელში (ევროკავშირის და ნატოს წარმომადგენლებთან)
- 2009 წლის 19 იანვარი, უფროს მრჩეველთა საბჭოს პირველი შეხვედრა ჟენევაში
- 2009 წლის 29 იანვარი, ექსპერტების პირველი შეხვედრა ჟენევაში
- 2009 წლის 2-5 თებერვალი, შეხვედრები მოსკოვში
- 2009 წლის 9-12 თებერვალი, შეხვედრები თბილისში
- 2009 წლის 12-13 თებერვალი, შეხვედრები ვენაში (ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია)
- 2009 წლის 2-5 მარტი, შეხვედრები თბილისში, სოხუმში და ცხინვალში, გასვლითი ვიზიტები
- 2009 წლის 13 მარტი, ექსპერტების მეორე შეხვედრა ჟენევაში
- 2009 30 მარტი, შეხვედრები სტრასბურგში (ევროსაბჭო)
- 2009 წლის 24 აპრილი, შეხვედრები ბერლინში
- 2009 წლის 28 აპრილი, უფროს მრჩეველთა საბჭოს მეორე შეხვედრა ჟენევაში
- 2009 წლის 5-6 მაისი, სამუშაო სემინარი ბრიუსელში (ნატო, ევროკავშირი)
- 2009 წლის 11-12 მაისი, შეხვედრები ნიუ-იორკში
- 2009 წლის 13 მაისი, შეხვედრები ვაშინგტონში
- 2009 წლის 20 მაისი, ექსპერტთა მესამე შეხვედრა ჟენევაში
- 2009 წლის 21 და 25 მაისი, შეხვედრები ბერლინში
- 2009 წლის 27 მაისი, შეხვედრები ბრიუსელში (ევროკავშირის წარმომადგენლები)
- 2009 წლის 27 მაისი და 3 ივნისი, შეხვედრები თბილისში
- 2009 წლის 28-31 მაისი, შეხვედრები თბილისში, ცხინვალში, გასვლითი ვიზიტები კოდორის ხეობაში
- 2009 წლის 29 მაისი, შეხვედრები პარიზში
- 2009 წლის 1-5 ივნისი, შეხვედრები თბილისში, ცხინვალში, გასვლითი ვიზიტები
- 2009 წლის 1 ივლისი, ექსპერტთა მეოთხე შეხვედრა ჟენევაში
- 2009 წლის 2/3 ივლისი, უფროსი მრჩეველების მესამე შეხვედრა ჟენევაში
- 2009 წლის 11 ივლისი, ექსპერტთა მეხუთე შეხვედრა ბერლინში
- 2009 წლის 16/17 ივლისი, შეხვედრები ბრიუსელში (უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან)
- 2009 წლის 22-25 ივლისი, შეხვედრები თბილისში
- 2009 წლის 28-29 ივლისი, შეხვედრები მოსკოვში
- 2009 წლის 30 ივლისი, შეხვედრები ბრიუსელში, ევროკავშირის წარმომადგენლებთან

2009 წლის 18 აგვისტო, შეხვედრები ვენაში

2009 წლის 20 აგვისტო, უფროს მრჩეველთა საბჭოს მეოთხე შეხვედრა ჟენევაში

2009 წლის 18/19 სექტემბერი, უფროს მრჩეველთა საბჭოს მეხუთე შეხვედრა ჟენევაში

2009 წლის სექტემბერი, ანგარიშის წარდგენა ევროკავშირის მინისტრთა საბჭოსათვის